# საპრბიელო

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 26 აპრილი 1995 № 20 (158) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეროვნული სტადიონი, დღეს 18 საათზე: საქართველო — ალბანეთი

EURO 96 England

### რეპორტაჟი აეროპორტიდან და დიღმიდან



ალბანელთა მწვრთნელი ნეპტუნ ბაიკო „მეტეხში"

„ჩვენი გუნდი მეორე გამარჯვებაზე ოცნებობს". — წერდა ტირანის გაზეთი „სპორტი" გუშინ... ალბანეთის ნაკრები, ოფიციალური პირები და თერთმეტი ჟურნალისტი თბილისში ხუთის ოთხ წუთზე ჩამოფრინდნენ. გერმანელებისგან განსხვავებით, ბრწყინვეთელები ცოტა ხანს აეროპორტშიც შეყოვნდნენ და „მეტეხშიც", ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით და მეტოქის ორ საუკეთესო და, რაც მთავარია, უცხო ენაზე მოლაპარაკე მოთამაშეს გამოველაპარაკეთ. მესამე, დემოლარიც ყაბულს იყო, მაგრამ საერთო ენა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვერ გამოვნახეთ...

#### ალტინ რაკლი



— უმძიმესი მატჩი გველის, ერთი ქულა მაინც უნდა ავიღოთ, კარგად მოვემზადეთ. საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია, თანამედროვე, სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს, ამაში ტირანაშიც დავრწმუნდი, პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა, თანაც ბედი არ გვწყალობდა, სამჯერ გავარტყით ძელს. ბოლო მატჩებში ჩემს კლუბში, ფრაიბურგში არ მითამაშია, მიუხედავად ამისა, ჩინებულ ფორმაში ვარ და ალბათ გოლსაც გავიტან, თანაც ვიცი, რომ თქვენი კაპიტანი ცხადაძე არ იქნება, მის წინააღმდეგ გერმანიაში მითამაშია, ძალიან კარგი ფეხბურთელია.

#### რუდი ვატა



**— თქვენ ქართველებთან პირველი შეხვედრის მონაწილე ხართ. როგორი აზრი შეგექმნათ მეტოქეზე და რა სხვაობა იქნება იმ და ხვალინდელ მატჩებს შორის?**

— პირველ თამაშში მხოლოდ ოცი წუთი დავყავი მოედანზე, რადგან მეტის საშუალება ტრავმამ არ მომცა. საქართველოს გუნდი ძლიერია და სწრაფ ფეხბურთს თამაშობს. ტირანაში თქვენებმა კარგად დაიწყეს შეხვედრა, გოლიც გაგვიტანეს, ჩვენ კი ცუდად ვითამაშეთ, თან იღბალმაც ზურგი შეგვაქცია. ახლა უკეთესი შანსი გვაქვს. ვიმედოვნებ, რომ კარგ შედეგს მივაღწევთ, ოღონდ საამისოდ გარკვეული ცვლილებები და მობილიზება გვმართებს.

**— რას მიიჩნევთ თქვენი გუნდის ღირსებად?**

— ჩვენ გვყავს ძლიერი მოთამაშეები, რომლებიც ევროპის სხვადასხვა გუნდებში თამაშობენ, მაგრამ ბევრი მათგანი ნაკრების მატჩებზე არ ჩამოდის. სწორედ ეს არის ჩვენი უმთავრესი ნაკლი.

**— ბოლო შეხვედრაში მოლდოვას 3:0 მოუგეთ...**

— მაშინაც სამი ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ ძლიერად ვითამაშეთ. საკუთარმა თამაშმა სიამოვნება მოგვანიჭა. მართალია, მოლდოვა, საქართველოსნაირი გუნდი ვერ არის, ის [illegible] არა, ამ ორ ნაკრებს არც შევადარებდი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ხვალ ისეთსავე იშტაზე ვიქნებით.

**— თქვენ გერმანიას ორჯერ შეხვდით და ორჯერვე ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეთ. მრისხანე მეტოქის შიში არ გაქვთ?**

— ჩვენი მოთამაშეები, როგორც ვითხარით, ევროპულ კლუბებში გამოდიან და რაგინდარა მეტოქეს შეჩვეულნი არიან. შიშით არავისი გვეშინია, უბრალოდ, ერთად თამაშის [illegible] გამოცდილება გვჭირდება. მე [illegible], რომ ალბანეთს ევროპულ [illegible]თში კარგი მომავალი აქვს.

**— თქვენ გლაზგოს „სელტიკში" თამაშობთ...**

— ჩემს კონტრაქტს ვადა ივნისში ეწურება. მერე ვნახოთ, იქნებ სხვა გუნდიც შევირჩიო, მაგრამ ახლა მართლა კარგ ფორმაში ვარ და გლაზგოელები ვადის გაგრძელებას მთავაზობენ. ცოტასაც დავიცდი და გადავწყვეტ...

**ილია ბაბუნაშვილი**
**ერეკლე კიკილაშვილი**

ნამოსვლის წინ ალბანელებმა ტირანის გაზეთ „შიკტარეში" ასეთი პროგნოზი გამოთქვეს:
(1 — საქართველოს მოგება, X — ფრე, 2 — ალბანეთის მოგება)

| | |
|---|---|
| ფოტო სტრაკოშა<br>ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი | X |
| ბლენდი ნალბანი<br>ტირანა | 1 |
| სალვადორ კაჩაი<br>ოლიმპიაკოსი, კვიპროსი | X |
| რუდი ვატა<br>სელტიკი, შოტლანდია | 1 X 2 |
| არიან ჯუმბა<br>ქსანთი, საბერძნეთი | X |
| ედმონდ დოსტი<br>ოლიმპია, სლოვენია | X |
| ალტინ რაკლი<br>ფრაიბურგი, გერმანია | X |
| საიმირ მალკო<br>ტირანა | 1 |
| ილირ სელიმი<br>დინამო, ტირანა | X |
| ე[illegible]ნდ დალიპი<br>[illegible]მო, ტირანა | X |
| ა[illegible]ნ მემა<br>ტირანა | 2 |
| სოკოლ პრენგა<br>ტირანა | 1 X |
| ინდრიდ ფორტუზი<br>ტირანა | 1 |
| ნესტი ქენდრო<br>ტეუტა, დურესი | X |
| სულეიმან დემოლარი<br>პანიონიოსი, საბერძნეთი | ? |
| სოკოლ კუშტა<br>ოლიმპიაკოსი, კვიპროსი | ? |

სავარაუდო შემადგენლობანი

დევაძე
კუდინოვი
რევიშვილი შელია ჩიხრაძე
ინალიშვილი
გოგიჩაიშვილი ჯამარაული ქეცბაია
ყიზილაშვილი შ. არველაძე

რაკლი კუშტა
დემოლარი
ფორტუზი კაჩაი დალიპი
ქენდრო მალკო ჯუმბა
ვატა
სტრაკოშა

ფეხბურთელები ცრუმორწმუნე ხალხია: თამაშის დღეს მარჯვენა ფეხზე დგებიან, ბუცებზე თასმებსაც ჯერ მარჯვენა ფეხზე იკრავენ, მინდორზეც მარჯვენათი შეაბიჯებენ ხოლმე, მატჩის წინ კი პროგნოზს ნურც დაეკითხებით. თამაშზე მიმავალნი ქალს არ ჩაისვამენ მანქანაში და ა. შ. თუმცა, ამათი რა გასაკვირია, როცა მრავალ ჩვენგანს, „უბრალო მოკვდავსაც" ასე სჩვევია. ამიტომაც იყო, რომ დაძაბული ვადევნებდი თვალს 23 აპრილს, აღდგომა დღეს, დიღმის ბაზაზე გამართულ ტრადიციულ ერთსაათიან მატჩს „საქართველოს ნაკრები" — „დინამო" („ნაკრები" ბრჭყალებში მთავარი მწვრთნელის რჩევა-მოთხოვნით ჩავსვი) და ერთთავად... „დინამოს" ვქომაგობდი. ნუ იჩქარებთ და ნუ წამომაძახებთ, მთლად ხომ არ გადაირიე, შე კაი კაცოო... ვისზე ნაკლებად ვიცი, რომ ამ შემთხვევაში სიმპათია-ანტიპათიაზე ლაპარაკი ზედმეტი კი არა, მკრეხელობაა, მაგრამ მე ისიც ვიცოდი, რომ თუ ამ თამაშს „ნაკრები" წააგებდა, მთავარ მატჩს აუცილებლად მოიგებდა, თანაც მშრალი ანგარიშით და პირიქით — „დინამოსთან" მოგების შემთხვევაში მთავარ მატჩს ვაგებდით. ჩემდა გასახარად, „დინამოელ" არჩილ არველაძის და ყაველაშვილის გოლებს „ნაკრებელმა" ჯამარაულმა ყაზილაშვილის პასით მხოლოდ ერთით უპასუხა და „დინამომ" მოიგო! ასე იყო უელსის და ალბანეთის ნაკრებებთან მატჩის წინ, გერმანიასთან თამაშის წინ კი „ნაკრებმა" მოიგო და...

მიუხედავად მატჩის სიმბოლური მნიშვნელობისა, ნაკრების ტაქტიკაც და, ფაქტიურად, შემადგენლობაც ადვილი „წასაკითხი" იყო: კარში დევაძე ან ზოიძე (ორივემ თითო ტაიმი ითამაშა), მარცხენა მცველი ჩიხრაძე, მარჯვენა — რევიშვილი, წინა — შელია, უკანა — კუდინოვი; ნახევარდაცვა — მარცხნივ ქეცბაია, მარჯვნივ გოგიჩაიშვილი, საყრდენი — ინალიშვილი, ქინქლაძის ადგილზე, თავდამსხმელთა უკან — ჯამარაული. თავდასხმაში ჩივაძემ სამი ფეხბურთელი გამოსცადა — შოთაც, ყაველაშვილიც და ყიზილაშვილიც. აქვე აღვნიშნავ, რომ „დინამოს" შემადგენლობა ერთობ „ეგზოტიკური" გახლდათ: აქ იყვნენ გია ფირცხალავა, გრიგოლ ცაავა, კახა სიდამონიძე, გიორგი შენგელია და დანარჩენი ნაკრებელები. გიორგი ქინქლაძე იმ დღეს ძუნძულით შემოიფარგლა.

24 აპრილის ვარჯიშისას მარცხენა კოჭი მცირედ დაიშავა ყაველაშვილმა, ქინქლაძეს კი საერთოდ არ ჩაუცვამს ფორმა. ნაკრებისა და „დინამოს" ექიმების, დიმიტრი ჩალიშვილისა და ზაქრო თელიას დიაგნოზები სიტყვასიტყვით დაემთხვა ერთმანეთს — ზუსტაფონში „მარგვეთთან", რომ იტყვიან, „სწორ ადგილზე" ქინქლაძის კუნთის დაჭიმვა თამაშის წინ არასაკმარისი მოთელვის, მძიმე გრუნტის და თავად გიორგის ფსიქოლოგიური მოუმზადებლობის ბრალი ყოფილა: „დაჭიმულია მარჯვენა ფეხის ბარძაყის მომხრელი წინა ოთხთავა კუნთი, დაზიანება ნაწილობრივია..." მართალია, ორივე ექიმის მეცადინეობით ქინქლაძეს ტკივილები მოეხსნა, მაგრამ მისი თამაში მაინც არ შეიძლება, რადგან ადვილი შესაძლებელია კუნთი გაწყდეს და მაშინ, არათუ რამდენიმე კვირით, შეიძლება სამუდამოდაც ჩამოშორდეს ფეხბურთს! ნაკრების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ქინქლაძე ალბანეთთან არ გამოვა, ექიმების თქმით, მას სულ მცირე, ათი დღით მოუწევს დასვენება, მერე კი გასინჯვა ცხადყოფს, შესაძლებელი იქნება თუ არა დატვირთვების მიცემა...

ბოლოს კი, ფუი ეშმაკს და, ისევე, როგორც უელსის ნაკრებთან თამაშის წინ, მინდა ჯერ ნაკრების შემადგენლობა შემოგთავაზოთ, შემდეგ კი ინტერვიუები ფეხბურთელებთან: აკაკი დევაძე („როსტსელმაში"), ირაკლი ზოიძე; ბესიკ ბერაძე, ნუგზარ ლობჟანიძე გოჩა ჯამარაული („დინამო"), გიორგი ჩიხრაძე („ტემპი", უკრაინა), ზაზა რევიშვილი, მურთაზ შელია, მიხეილ ყაველაშვილი („სპარტაკი" ვლადიკავკაზი, რუსეთი), დიმიტრი კუდინოვი („არისი", კვიპროსი), თემურ ქეცბაია (ა.ე.კ. საბერძნეთი), გელა ინალიშვილი („ტენის-ბორუსია", გერმანია), კახა გოგიჩაიშვილი („სამტრედია"), გიორგი ლუდუშაური („ზალშრორი", გერმანია), დავით ყიზილაშვილი („ომონია", კვიპროსი), არჩილ და შოთა არველაძეები („ტრაბზონსფორი", თურქეთი). შეპეტოვკელ იური გაბისკირიას ტრავმა აღმოაჩნდა, სამტრედიელი დავით ჯანაშია კი ბოლო მომენტში აღარ მიიწვიეს.



### ყაველაშვილი — ნახევარფინალში

პირველად მიხეილ ყაველაშვილს გავესაუბრეთ, რომლის ვლადიკავკაზში წასვლა მკითხველისთვის ჯერ არც გვიცნობებია...

— ვლადიკავკაზში ჩემი გადასვლა, ისევე, როგორც შელიასი და რევიშვილისა, გუცაევის იდეა იყო. მე და ვოვა ოსეთში 18 აპრილს ჩავედით, ხეირიანად არც მივარჯიშია, ისე გავფრინდით არზამასში „ტორპედოსთან" თასის მეოთხედფინალში სათამაშოდ. გაზაევმა მე და სულეიმანოვი წინ გვათამაშა. მატჩი 3:0 მოვიგეთ და თამაშის შემდეგ გაზაევმა მადლობა გადამიხადა. კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მომიწერია, ან ნახევარი წლით დავრჩები, ან — სეზონის ბოლომდე. ახალ თანაგუნდელებთან შეწყობა არ გამჭირვებია, ბევრ მათგანს ჯერ კიდევ ჩვენი „დინამოდან" ვიცნობ. მე და ომარ თეთრაძე კი ბავშვობიდან ერთად ვართ, ზურაბ მაისურაძის სკოლიდან...

**— ნაკრების ვარჯიშზე მიღებული ტრავმა სერიოზულია?**

— ბედი არა მაქვს, შევალ თუ არა ფორმაში, ტრავმას ვიღებ. მოსკოვში, „შახტიორთან" რომ ვიტკინე კოჭი, ის გამიმიზეზდა.

### შელია დროს შეტევებში ატარებს

— კვეხნით არ ვიტყვი, მაგრამ ვლადიკავკაზის „სპარტაკი" ჩვენი ჩასვლის შემდეგ ერთიორად გაძლიერდა. უნდა ნახო, რა ფორმაშია რევიშვილი! ასეთი ფეხბურთელი ამ ქალაქს არ უნახავს. არზამასში პირველი გოლი სწორედ ზაზამ შეაგდო. აქედან რომ ჩავალთ, 9 მაისს „როსტსელმაშს" ვიღებთ, 13-ში მოსკოვში ვთამაშობთ. „სპარტაკთან", 15 მაისს კი „როტორს" ვმასპინძლობთ ნახევარფინალში. აქ ერთი მატჩია და მომგები ფინალში გადის. მეორე ნახევარფინალში მოსკოვის „სპარტაკი" და „დინამო" თამაშობენ. „როტორს" თუ მოვუგეთ და ფინალში „სპარტაკს" შევხვდით, თასების თასზე გამოვალთ, ყველა დანარჩენ შემთხვევაში — უეფას თასზე. თუ ფინალში გავედით, ოსეთის პრეზიდენტი გალაზოვი გუნდს თოთხმეტ „მერსედესს" პირდება...

იხილეთ მეორე გვერდი

## სიახლემ ხეირი იცის

თამაშს, ბოლო-ბოლო მოთამაშეები იგებენ, მაგრამ გუშინ გამარჯვების უპირველესი შემოქმედი „ვითას" მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი იყო. ფლეი-ოფში ლიპარტელიანმა მეტოქეს სიურპრიზი შესთავაზა: ყველა ადრინდელი მატჩისაგან განსხვავებით თავის გუნდს უარი ათქმევინა სამქულიანებზე აწყობილ ტაქტიკაზე და შეტევათა უმრავლესობა ფარქვეშ გადაიტანა. ამ სქემის მიხედვით ცენტრი ბეჟანიშვილი უნდა ათამაშებულიყო. ასეც მოხდა: ვაკო ან თავად უტევდა ფარს, ანაც პასებით ამარაგებდა ფარსგარეთ აწეულ ვითელებს. ლიპარტელიანმა მეორედ მაშინ იყოჩაღა, როცა ტაიმის ბოლოს დროულად მოთხოვა შეგირდებს ზონური პრესინგის დაყენება. ამით „ვითამ" 46-წამიანი მონაკვეთი 11:0 მოიგო (ბეჟანიშვილი 2 საჯარიმო, სანაძე 2 სამქულიანი, დადიანი — თითო ბურთი და საჯარიმო) და 49:29 დაწინაურდა.

„დინამო" ვერაფრით ათამაშდა კომბინაციურად. მოთამაშეები ინდივიდუალურად ჯახირობდნენ და აღნიშნულ მონაკვეთამდე რაღაცას მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ. მათგან გურამ ვაშაკიძე გამოირჩეოდა, რომელმაც ლიდერობა იკისრა და ბევრჯერაც შედეგიანად შეუტია. დინამოელები მრავალჯერ შეცდნენ პასის დროს — მარტო 6 ბურთი უწყინარ სიტუაციაში აუტში გადააგდეს. ვერც დაცვაში ივარგეს: რამდენჯერმე უკანახაზელები მაისურაძე და ცაგარეიშვილი ახმახ ბეჟანიშვილს შეატოვეს, შემდეგ კი სანაძის უპატრონოდ დატოვებაც დაიწყეს — ამანაც ბლომად კი გააცუდა, მაგრამ მატჩი 6 სამქულიანით დაასრულა. ვითელთაგან დაცვაში კვლავ გაიბრწყინა ბაქრაძემ: ფარზე თავის მოკვლა არ დასჭირვებია, ამას მის გარეშეც მიხედეს, სამაგიეროდ 9 ჩაჭრა უდავოდ ჩინებული მაჩვენებელია. სანტერესოა, რომ გუშინ მოედანზე ორივე გუნდიდან ერთდროულად 5 კალათბურთელი იყო (ბაქრაძე, კოკოლიშვილი, ბეჟანიშვილი, კილაძე, მაისურაძე), რომლებიც სხვადასხვა დროს ეროვნული ნაკრების უფროსმა ჯამლეთ ხუხაშვილმა გამოზარდა.

**მერაბ რატიშვილი**

გუშინვე „კაქტუსმა" 104:76 დაამარცხა „მერანი". მეორე მატჩები ხვალ გაიმართება.

საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი
**ვითა — დინამო 102:71 (53:34)**
სპორტის სასახლე. 25 აპრილი. 1 500 მაყურებელი
მსაჯები: გ. ავალიშვილი, რ. გელოვანი

| ვითა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 ჩერქეზიშვილი | 12 | 4 | 2 | — | 4 | 3 | 2 |
| 4 ი. ვაშაკიძე | 8 | 4 | — | — | — | — | 3 |
| 8 სანაძე | 30 | 5 | 3 | — | 1 | — | 1 |
| 5 ბაქრაძე | 6 | 5 | 9 | — | 2 | 2 | 3 |
| 12 ბეჟანიშვილი | 14 | 4 | 1 | — | 5 | 4 | 3 |
| 13 დადიანი | 16 | 5 | — | — | 2 | 2 | 3 |
| 14 კოკოლიშვილი | 2 | 1 | — | — | — | — | 1 |
| 15 ჩუბინიძე | 8 | 6 | 2 | — | — | — | 2 |
| 20 ორმოცაძე | 4 | 4 | 2 | — | — | — | 1 |
| 11 კორძაძე | 2 | 2 | 2 | — | — | — | 1 |
| სულ | 102 | 40 | 21 | — | 14 | 11 | 20 |

| დინამო | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 ცაგარეიშვილი | 4 | 2 | 2 | — | 3 | 2 | 2 |
| 5 მაისურაძე | 7 | 5 | 4 | — | — | — | 5 |
| 12 ქარაბაკი | 16 | 6 | 1 | 1 | 8 | 7 | 1 |
| 4 ცხვედიანი | 10 | 6 | 3 | — | 1 | 1 | 1 |
| 8 გ. ვაშაკიძე | 23 | 7 | — | 1 | 3 | 3 | 3 |
| 13 კილაძე | 4 | 7 | — | 3 | 1 | — | 1 |
| 9 დარსაძე | 7 | 1 | 1 | — | — | — | 2 |
| სულ | 71 | 34 | 11 | 5 | 16 | 13 | 15 |



# წავაგეთ, ესე იგი, მოვიგებთ!

## რეპორტაჟი დილმიდან

მამუკა კვარაცხელია,
ილია ბაგუნაშვილი,
გია ახალაძე (ფოტო)



გიორგი ლუდუშაური



ალექსანდრე ჩივაძე

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— ომარ თეთრაძე ბოლო მატჩში ლიბეროდ გაუმწესებიათ...**

— ამან ყველაზე მეტად მე გამახარა — მე ხომ წინა მცველად ვთამაშობ და როდესაც ზურგსუკან თეთრაძისნაირი პარტნიორი გყავს, იმედიანად ხარ. ახლა, ლამისაა, მთლიანად შეტევაში ვატარებ მატჩს. ჩემი დაკვირვებით, თეთრაძისნაირი ფეხბურთელი არც საქართველოში მოიძებნება და არც რუსეთში.

**— გუცაევს კონკრეტულად რა ევალება „სპარტაკში"?**

— გუნდის მენეჯერია. ხანდახან გვავარჯიშებს კიდეც.

**— შეძლებთ, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოთ მოსკოვის „სპარტაკს" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში?**

— ყაველაშვილის მოსვლით გუნდის დაკომპლექტება ფაქტიურად დამთავრდა, ახლა ყველა რგოლში ძლიერად ვართ შეკრულნი და, ვფიქრობთ, დროა მოსკოველთა ჰეგემონობასაც შევებრძოლოთ...

### კიორბელი ცხადაძის კოლეგაა

საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტნის არყოფნა ალბანეთთან ნაკრებს კარგად დაებედა. კახი ცხადაძეს დილმის ბაზაზე მაშინ შევხვდი, მეგობრების გასამხნევებლად და ზაქრო თელიასთვის მტკივანი ფეხის საჩვენებლად რომ იყო მოსული.

— ჰაინკესისგან განსხვავებით, ახალ მწვრთნელთან, კარლ-ჰაინც კიორბელთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. იგი თავად თამაშობდა „აინტრახტში", თანაც ზუსტად ჩემს ადგილზე. სამწუხაროდ, გრიპის მორჩენის შემდეგ მარცხენა ფეხის კოჭი დავიშავე, ამიტომ რამდენიმე დღე კიდევ გამიცდება. ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ ახლაც კი პლასტიკური სახვევი მადევს.



თემურ ქეცბაია

### ჩიხრაძეს გოლიც გაუტანია

— მოდიან და მოდიან „ტემპში" ქართველები! მალე ლანჩხუთელი მერაბ თევზაძეც შემოგვემატება და უკვე რვანი ვიქნებით. იქაურებს ეს ოდნავადაც არ აღიზიანებთ, პირიქით. ახალმოსულ მამუკა რუსიას ტრავმა ჰქონდა და ახლახანლა დაიწყო ვარჯიში, ივანე ჯუღელმა კი ყველა გააოცა: შეტევაშიც კარგად თამაშობს და შუა ხაზის და დაცვის დახმარებასაც ასწრებს. ახლა ზედიზედ ვაგროვებთ ქულებს და ნელ-ნელა თავს ვაღწევთ ცხრილის ფსკერს. ჩვენი ბედი რა ვთქვა, ლიგაში დასარჩენად ბრძოლა ძირითადად იმ გუნდებთან გვიწევს, სადაც ქართველები თამაშობენ — როვნოს „ვერესთან" და ლუგანსკის „ზარია მალსთან". კრემენჩუგის „კრემენთან" მატჩში წელს ჩემი პირველი გოლიც გავიტანე. როგორც შევიტყვე, გუნდის ხელმძღვანელობა კიდევ ორი ფეხბურთელის დამატებას აპირებს — თავდამსხმელის და ნახევარმცველის. ოღონდ ეგ აღარ ვიცი, ქართველები იქნებიან თუ არა!



გიორგი ქინქლაძე

### ინალიშვილი — „ტენის-ბორუსიას" მარჯვენა

— მას შემდეგ, რაც ბერლინში ჩავედით, „ტენის-ბორუსიას" თამაში არ წაუგია — შვიდიდან ექვსი მატჩი მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და მეცხრე ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა. ახლა მყარად გვიკავია ეს ადგილი „ლაიპციგის" „კარლ ცაისის" და „უნიონ ბერლინის" შემდეგ, რაც ფაქტობრივად, მეორე ბუნდესლიგაში გადასვლის გარანტიაა. მე მარჯვენა ნახევარმცველად ვთამაშობ, რეზო — მარცხენა ნახევარმცველად, კახა კაჭარავა კი თავდასხმაშია და გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. გოლები უკვე სამივემ გავიტანეთ. ჩვენი გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობს, სამი მცველით და ხუთი ნახევარმცველით. ჩვენი, გარე ნახევარმცველის ამპლუა უაღრესად შრომატევადია, რადგან, ფაქტიურად, მთელ ფლანგზე გიწევს წინ და უკან სირბილი. კლუბში გერმანული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი უმკაცრესი სათამაშო დისციპლინაა, მწვრთნელი ფიზიკურ დატვირთვებს უმთავრეს ყურადღებას აქცევს. ჩემპიონატის დამთავრებამდე შვიდი ტური დარჩა, თუ მეორე ბუნდესლიგაში გადავედით, შესაძლოა, კვლავაც ამ კლუბში დავრჩეთ, რადგან მომავალ სეზონში გუნდი კიდევ გაძლიერდება და ბუნდესლიგაში გადასვლისთვის იბრძოლებს.

### კუდინოვი პირნათელია

— ბოლო ხუთი თამაში მოვიგეთ 31 ქულა დავაგროვეთ, მაგრამ კვლავ ბოლოდან მეორე ადგილზე ვართ, თუმცა ა.ე.კ-ს სამი ქულით ჩამოვრჩებით, „ოლიმპიაკოსს" — ექვსით. ყიზომ და გოჩამ „დამაღალატეს" — ა.ე.კ-თან რომ არ წაეგოთ, ჩვენ ხომ დარჩენილები ვიყავით ლიგაში და თავადაც უკვე ჩემპიონობაც შეეძლოთ ეზეიმათ. ახლა ოთხი ტურია დარჩენილი, ერთი მატჩი შინ გვიწევს „ომონიასთან", რომც წავაგოთ, ორი თამაში კიდევ გვაქვს შინ, რომელთა მოგების შემთხვევაში ადგილს შევინარჩუნებთ.

მე ჩვენიანების წინაშე პირნათლად მოვიხადე „ვალი" — მთავარი მეტოქე — „ანორთოსისი" „დავუწვინე", ქულა წავართვით. თუ არ გავვარდით, ალბათ, დავრჩები კლუბში, თუ არა და, ერთ-ერთ წინადადებას დავყაბულდები, შესაძლოა საბერძნეთიდანაც...

### ყიზო კომუნისტი ყოფილა

— ორმა დასანანმა მარცხმა არ მოგვცა საშუალება, ვადამდე გავმხდარიყავით ჩემპიონები, არადა, არცერთი წასაგები თამაში არ იყო. ახლა ჩვენ და „ანორთოსისს" 63-63 ქულა გვაქვს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით ვჯობნით. ეს სხვაობა საკმაოდ სოლიდურია — 10 ბურთი. თუ ჩვენც და მათაც ოთხივე თამაში მოვიგეთ, კვიპროსზე მოქმედი წესის თანახმად, ძალაში ბურთების შეფარდება შევა და ჩემპიონები ჩვენ გავხდებით. არადა, ძალზე პრინციპული მატჩი გველის 29 აპრილს დიმას „არისთან" — ეს გუნდი ახლა ათამაშდა და მისგან ნებისმიერ სიურპრიზს უნდა ველოდეთ. მართალია, ლიდერები ვართ, მაგრამ თუ მსაჯების ჩვენდამი დამოკიდებულებას და სხვა ფაქტორებსაც გავითვალისწინებთ, არც ისაა გამორიცხული, „ანორთოსისს" 10:0 მოაგებინონ. ჩვენი გუნდი კვიპროსზე ყელში გაჩხერილი ძვალივითაა, ყოველ წელს ან ჩემპიონები ვხდებით, ანაც თასს ვიღებთ, თანაც „ომონია" კომუნისტების გუნდია და კვიპროსზე ვერ სარგებლობს პოპულარობით, აი, ნიქოზიაში კი ძალიან უყვართ... თასის ფინალში ვერ გავედით, „აპოელთან" 0:2 გვქონდა წაგებული და შინ 1:1 ვითამაშეთ, ასე რომ, „დუბლის" შანსიც გაგვიფრინდა...

ნაკრების პირველ ვარჯიშზე რაღაცნაირად შებორკილი ვიყავი, რაც ალბათ ნაკრებთან ხანგრძლივი განშორებით აიხსნება, მერე და მერე თავი ისე ვიგრძენი, როგორც თევზია წყალში, ფეხიც აღარ მაწუხებს, სიცხეც არა მაქვს, მოკლედ, მზად ვარ საბრძოლველად...

### ქეცბაია საქმეში ჩაება

**— რამდენადაც ვიცი, საბერძნეთის თასის ფინალში არ გითამაშია...**

— ვერ ვითამაშე. ფინალი კი არა, დაშავების შემდეგ ერთი შეხვედრაც არ ჩამიტარებია. გუნდთან ერთად დავრბოდი და სულ ეს იყო. თუ ჩივაძე ალბანეთთან მათამაშებს, ეგ იქნება პირველი მატჩი.

**— ტრავმა მოგიშუშდა?**

— მთლად გამოჯანმრთელებული არ ვარ, მაგრამ აქ, შეკრებაზე ვითამაშე და ნატკენს თავი არ შეუხსენებია.

**— რას იტყვი მეტოქეზე?**

— მართალია ალბანელებმა თითქმის ყველა მატჩი წააგეს, მაგრამ მათთან თამაში ჩვენ ტირანაში საკუთარ თავზე გამოვცადეთ — მეტოქე კარგი გუნდია. ალბანელი ფეხბურთელები პროფესიონალები არიან, ბევრი მათგანი საბერძნეთის ლიგაში თამაშობს და არცთუ ურიგოდ. თქმა არ უნდა, ძნელი შეხვედრა გველის.



მურთაზ შელია

### რევიშვილის მეორე პასპორტი

ზაზა რევიშვილს ბოლო დროს უმეტესად აქებენ. საქართველოს ნაკრებში ძლიერი თამაშისთვის მის მეხოტბე ქართულ მედიას ცოტა ხნის წინ რუსი კოლეგებიც შეუერთდნენ — ზაზა ვლადიკავკაზის „სპარტაკშია" და რუსეთში თამაშობს. იქაური თასის მეოთხედფინალში ოსეთის გუნდმა არზამასის „ტორპედო" დაამარცხა 3:0. თამაშის შემდეგ წაგებულ მხარეს უჩივლია, სპარტაკელებმა ოთხი ლეგიონერი ათამაშეს, რაც წესის დარღვევააო, რაზეც პასუხად მიუღია, რევიშვილს რუსეთის მოქალაქეობა სურს, საამისოდ განცხადება აქვს შეტანილი და ამიტომაც ლეგიონერად არ ითვლებაო..

— მართალია, ასეთი განცხადება დაწერილი მაქვს და ალბათ ორმაგ მოქალაქეობას მივიღებ — გვითხრა რევიშვილმა — ეს ორჯონიკიძის „სპარტაკს" სჭირდება, რათა ჩემთან ერთად მოედანზე სამი ლეგიონერის გაყვანა შეეძლოს. „სპარტაკის" ხელმძღვანელები ოფიციალურად ფიფა-საც დაეკითხნენ და პასუხად მიიღეს, ასეთი რამ ნებადართულიაო. ახლა მაინც ვიაჩესლავ კოლოსკოვის რეაქციას ელოდებიან. მოკლედ, ვლადიკავკაზის გუნდისთვის ლამის თავი გავწირე, თუმცა მთავარი ის არის, რომ ორმაგი მოქალაქეობა საქართველოს ნაკრებში თამაშში ხელს ვერ შემიშლის.



დავით ყიზილაშვილი



დიმიტრი კუდინოვი



ზაზა რევიშვილი



მიხეილ ყაველაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქებს ყიფიანი მოსწონებიათ, გერმანელებს – ანჩაბაძე



ლევან ყიფიანის დებიუტზე თბილისის „დინამოში" უკვე გაუწყეთ, ახლა კი დავით ყიფიანის მეორე ვაჟის, ლევანის მომდევნო, 19 წლის ნიკაზეც გაცნობებთ ახალ ამბავს. იგი ჯერ ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში, შემდეგ „მერანში", „მრეტებში", „ალაზანში", ბოლოს კი რუსთავის „მეტალურგში" გამოდიოდა. უმაღლეს დივიზიონში 30 მატჩი ითამაშა და 5 გოლიც გაიტანა, მათ შორის ერთი — თბილისის „დინამოს" კარში, რომელმაც გურჯაანელებს თბილისში გაამარჯვებინა მრისხანე მეტოქესთან. ნიკა ყიფიანი რამდენიმე დღეა ტრაპიზონშია, სადაც ჯემალ ჩიმაკაძის ხელმძღვანელობით ემზადება. ჩიმაკაძე სწორედ ამ მიზეზით ვერ ჩამოჰყვა ტყუპებს თბილისში ალბანეთთან ნაკრების მატჩზე, სამაგიეროდ, ახალი შეგირდი ისე კარგად დაუმოძღვრავს, რომ საკონტროლო მატჩში ჩინებული თამაშის შემდეგ ტრაბზონელთა გარდა კიდევ ოთხი თურქული კლუბი დაინტერესებულა მისით. საბოლოოდ, სად ითამაშებს ნიკა, ეს აპრილის მიწურულს გაირკვევა.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ ჩინეთში გამგზავრებულან და ერთ-ერთ იქაურ კლუბში თამაშობენ თბილისის „შევარდენის" ყოფილი წევრები — კოტე მელქაძე და ზაალ ქოჩლაძე.

შევიტყვეთ ისიც, რომ თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი გიორგი ანჩაბაძე ჰამბურგს გაემგზავრა და შესაძლოა ოდესლაც ძლევამოსილი ამ კლუბის შემადგენლობაში ჩაირიცხოს. ანჩაბაძე გერმანელებს ახალგაზრდული ნაკრებების თამაშისას შეუგულებიათ და ახლა სურთ, „ჰამბურგ" — „ვერდერის" ამხანაგურ მატჩში გასინჯონ.

თბილისის „დინამოში" ვარჯიშს შეუდგნენ მრეტყოფილი სამტრედიელი მცველი კახა სიდამონიძე და რამაზ შენგელიას ვაჟი, 16 წლის გიორგი.

გიორგი ანჩაბაძე მალე „ჰამბურგის" მწვრთნელებს უნდა გაესინჯოს



## აკაკის «სულიკოს» უმღერიან

ჯერ ვითომ ისე იყო საქმე, „სულიკო" ვოლგოგრადის „როტორის" სტადიონზე უნდა ემღერათ, მაგრამ ახლა 13 ათასიან „როსტსელმაშზე" ასრულებენ. მიხვდებოდით, უეჭველია: ამ ცნობილ ქართულ სიმღერას საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „როსტსელმაშის" მეკარის აკაკი დევაძის პატივსაცემად მღერიან როსტოვში. თამაში არ ჩათავდება, დევაძე ხელში აყვანილი არ მიიყვანონ მინდვრიდან გასახდელამდე...

**— ამასწინათ „სპორტ-ექსპრესში" შენი ინტერვიუ რომ წავიკითხე, უმალ ეს გავიფიქრე: აკაკის აქ გაზით ვერ ამოგლეჯდი სიტყვას, იქ კი როგორ ამღერებულა-მეთქი...**

— არც იქ ვაპირებდი წალმა-უკულმა ინტერვიუების დარიგებას, მაგრამ მომიწია. „ტექსტილშჩიკთან" მატჩის მერე კარგა ხანს ჟურნალისტთა ტყვეობაში ვიყავი პრესკონფერენციაზე, თანაც „ბლანჟეთი" სახელამშვენებული, როგორც ახლაა მოდაში. „როსტსელმაში" ახალი გადასულია უმაღლეს ლიგაში და სტადიონზე ტევა არ არის. საათნახევარს სულ გუგუნში და სიმღერაში ატარებენ გულშემატკივრები

**— მართლა მღერიან „სულიკოს"?**

— იქაურმა „ჯუნგლებმა" ისე ააწყვეს უკვე, თავი საქართველოში მგონია. როსტოვში ახლა ფეხბურთის ბუმია, პირველი თამაშები კარგად წამივიდა და ფანებმაც უმალ „ამომიჩემეს".

**— „როსტსელმაშის" დაცვის სისუტეზე ბევრს ლაპარაკობენ რუსულ მედიაში. ნუთუ ასე ცუდადაა საქმე?**

— რომ არ მოგატყუო, ყოველ თამაშში ყველა მცველის მინიმუმ ერთი საგოლე შეცდომას ვასწორებ.

**— სპანდერაშვილი როგორ თამაშობს?**

— ბადრი უდაოდ გუნდის საუკეთესო მოთამაშეა, ყველა გოლში წილი უდევს. ტექნიკა, მოგეხსენებათ, ჩინებული აქვს, ფიზიკურადაც საუცხოოდაა მომზადებული. მოკლედ, გუნდს დიდად არგია.

**— ვორობიოვი და ანდრეევი კიდევ თამაშობენ?**

— ამათი გამოცდილება გუნდისთვის ძალიან სასარგებლოა. ჩვენ ხომ დებიუტანტები ვართ და ჩვენთან მატჩში ყველა მოგებას გეგმავს, ისინი კი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პირველობაზე თამაშობდნენ და უშიშრად არიან, ჯანი, კი, ბუნებრვია, აღარ მოსდევთ.

**— რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

— კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია — როცა მოვისურვებ, მაშინ წამოვალ.

**— „როტორიდან" თუ გაწუხებენ?**

— ახლა, როგორც გავიგე, ძალიან ნანობენ, არადა, რომ მოენდომებინათ, დამითანხმებდნენ კიდეც. მათ კი გაურკვეველი ლაპარაკი დამიწყეს, ჯერ ვერ დაგპირდებითო. ჰოდა, მეც როსტოვში წამოვედი, სადაც, რომ იტყვიან, აქეთ მეხვეწებოდნენ.

**— რუსული პრესა ლამის რუსეთში მოთამაშე საუკეთესო მეკარედ გრაცხს. როგორ დავიჯერო, „როტორის" გარდა სხვა კლუბები არ გეპატიჟებიან...**

— რაღა დაგიმალო და, წინადადებები ბევრი მაქვს, მაგრამ მოდი ამაზე მერე იყოს...

**— გერმანიასთან მარცხს რით ახსნიდი?**

— შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ არ იყო წასაგები. პირველ ბურთზე ვერაფერი მოვახერხე, კლინსმანმა თავით იდეალურად დაარტყა. მეორე კი უნდა ამეღო: გადავიწიე კიდეც, მაგრამ ჩვენიანს მოხვდა ფეხზე და რიკოშეტით გავიდა. ამ ორ გოლს შორის კი თამაში ჩვენი იყო.

**— ალბანეთთან მატჩზე რას იტყვი?**

— ჩემი აზრით, ეს ყველაზე ძნელი მატჩი იქნება ჩვენთვის ამ ქვეჯგუფში. [illegible] ცივი ოფლი მასხამს, როცა იქაურ [illegible]ჩაიმს ვიხსენებ. კვეხნით არ ვიტყვი, მაგრამ იქაც ძალზე ძნელი ბურთები ავიღე. აკი იხუმრა კიდეც ჩივაძემ, კარში დევაძე და ღმერთი ერთად იდგნენო...

მამუკა კვარაცხელია

გასაგებ მიზეზთა გამო, ჩვენი ჩემპიონატის მეორე ჯგუფის ამბები ბევრ გულშემატკივარს ან გაკვრით ეცოდინება, ან სულაც არა. არადა, აქ პირველ ჯგუფში გადასასვლელად ისეთი ფიცხელი ბრძოლა-თამაშები ჩაღდება ხოლმე, არაფრით ჩამოუვარდება, ვთქვათ, „სამტრედია" — „დინამოს" დუელს.

დღევანდელ წერილში აღმოსავლეთი ზონის ლიდერთა დუეტის, ახალციხის „მესხეთისა" და ბოლნისის „სიონის" შესახებ მოგითხრობთ. ორივე გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ორივეს თბილისელი მწვრთნელები უდგანან სათავეში.

# აღმოსავლური ვნებანი

### თამაზ ჯაში
ახალციხის „მესხეთი"

თბილისის „მერანის" ერთ დროს უცვლელი მწვრთნელი თამაზ ჯაში მესხეთს გადაბარგებულა. არადა, მეტად საინტერესო კოლექტივი ჰყავდა და მისმა აღზრდილებმა შემდეგ მაღალი რანგის გუნდებშიც გამოიჩინეს თავი: გიორგი კიკნაძე თბილისის „დინამოში" და ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდა, გოჩა ქოქოშვილი ჯერ „დინამოში", შემდეგ ვლადიკავკაზის „სპარტაკში", ახლა კი მოსკოვის „ასმარალში" თამაშობს და რამდენადაც ვიცი, მალე უცხოეთს გაემგზავრება. კახა გოგოლაძე ჯაშმა მცველად ჩაიბარა, მაგრამ თავდამსხმელად აქცია და შემდგომ ერთი პირობა ლანჩხუთის „გურიას" ამ ფორვარდით „დინამო" და ეროვნული ნაკრებიც კი დაინტერესდნენ. მეკარე ანდრო კოროშინაძე კი რუსთავის „მეტალურგის" ღირსებას იცავს. თამაზ ჯაში მეორე წრის წინ მოვიდა გუნდში, რომელიც ანზორ გძელიძეს უკვე დაეტოვებინა. გძელიძე კარგა ხანს გალში მუშაობდა და როცა სეზონის წინ „მესხეთს" ჩაუდგა სათავეში, ოჩამჩირელი ელგუჯა როსტობაია, გალელები: ლაშა ყოლბაია, გოჩა ქორთუა, ზაზა კვეკვესკირი და 41 წლის ალკაზ ქანთარია მოუყვანია.



ჯონი ჯაგიდისი

ეს ფეხბურთელები ახლაც „მესხეთის" ბირთვს შეადგენენ, ის კი არა, ვეტერან ქანთარიას ათამდე ბურთიც გაუტანია...

**— ბატონო თამაზ, შუა სეზონში გუნდის ჩაბარება სარისკო საქმეა, თანაც ისეთის, რომელიც პირველი ადგილისთვის იბრძვის...**

— მე „მესხეთში" ვთამაშობდი, შემდეგ ერთი ხანობა გუნდს ვწვრთნიდი კიდეც. მახსოვს, ჩემი ფეხბურთელობისას ახალციხის თეატრმა დიდი როლი ითამაშა ამ რეგიონში ქართული სულის აღორძინებაში. თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა, ახლა იგივე ფუნქციას ფეხბურთი ასრულებს. დღეს ახალციხე სასაზღვრო რაიონია და ყოველივე ქართულს დიდი მნიშვნელობა აქვს. ახალციხე ფეხბურთით ცხოვრობს, ამაში კი დიდია რაიონის ხელმძღვანელის ნუგზარ სარჯველაძის წვლილი. ეს არცაა გასაკვირი — მამამისი, ნიკიფორე სარჯველაძე თავის დროზე ახალციხის ფეხბურთისთვის ისეთივე პიროვნება იყო, როგორიც ევგრაფი შევარდნაძე ლანჩხუთისთვის. აწყურში ჩინებული სტადიონიც მისი დამსახურებაა. კლუბის პრეზიდენტია იური კუბლაშვილი, დიდად გვეხმარებიან მეურნეობის ხელმძღვანელები ვასილ სისვაძე და იური ლომიძე. ამ ხალხს შეგნებული აქვს, რას ნიშნავს ფეხბურთი მესხეთისთვის.

**— ლამის წესად იქცა — ყველა მწვრთნელს თავისი ფეხბურთელი მიჰყავს გუნდში. თქვენ ვისზე შეაჩერეთ არჩევანი?**

— მე ქარელიდან მინაძე წამოვიყვანე, თბილისიდან ზაზა ბაკურაძე, ორივე ძალიან გამოადგა გუნდს.

**— „სიონის" გამარჯვებამ „ზოოვეტთან" რა შეცვალა თქვენს გეგმებში?**

— ჩვენ 30 აპრილს „ზოოვეტს" სტუმრად ვეთამაშებით, მომდევნო ტურში კი, 3 მაისს, „სიონს" ვმასპინძლობთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ათი ტურია დარჩენილი, ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ამ ორი მატჩის მოგების შემთხვევაში ჯგუფში პირველები ვიქნებით.

**— „მესხეთის" ფინანსური მდგომარეობა როგორია?**

— ყველას ჰგონია, რომ რაკი რაიონში წამოვედი სამუშაოდ, აქ ოქროს კოშკები გვიდგას. მე „მერანში" საქმე საათივით მქონდა აწყობილი, ეტაპობრივად მივიწევდით უმაღლესი ჯგუფისკენ და, გუნდი რომ არ დაშლილიყო, გადავიდოდით კიდეც. „მერანში" ჩამოყალიბებულ კაცებთან ვმუშაობდი, წუწუნი არ გამიგონია, ახლა, ფაქტიურად, უმუშევარი ვიყავი, თანაც, მსურს ჩემი თავიც გამოვცადო და რაიონსაც შევეშველო შეძლებისდაგვარად. განა ადვილია თბილისელი კაცისთვის სასტუმროში ცხოვრება, მაგრამ რას ვიზამ, როცა რაიონის ხელმძღვანელობა გაჭირვების მიუხედავად ფეხბურთს ყურადღებას არ აკლებს. რა ნამუსი გაგიჭრის, მხარში არ ამოუდგე...

**— ვალეს საბაჟოს გახსნა აბა სულზე მოგისწრებთ...**

— თუ მართლაც გაიხსნა, გვარიანად შეგვეშველება და მაშინ ახალციხეში ფეხბურთიც წელში გაიმართება და ხალხიც. თანაც, თუ პირველ ჯგუფში გადავედით...

### ნოდარ ხიზანიშვილი
ბოლნისის „სიონი"

თბილისის „დინამოს" მცველმა, 1981 წლის 13 მაისის მატჩის მონაწილემ ნოდარ ხიზანიშვილმა მწვრთნელობას გემო ახალგაზრდულ ნაკრებში გაუსინჯა და ერთი პირობა დინამოელი ძმაკაცების — გაბელიას, მუჯირის, შენგელიას შვილების აღზრდა-დაოსტატებას უნდებოდა, შემდეგ „სამტრედია" ჩაიბარა, ნახევარი სეზონი იმუშავა და მიზეზთა გამო გუნდი დატოვა. ახლა კი „სიონს" ჩაუდგა სათავეში. ბოლნისში მეტად პრინციპულ მატჩზე ჩავედი — მეორე ადგილზე მყოფი „სიონი" უახლოეს მდევარს, მესამე ადგილზე დამკვიდრებულ „ზოოვეტს" ხვდებოდა. ბოლნისელთა შემადგენლობაში თითქმის ყველა ვიცანი — ეს ბიჭები ამ გუნდში „შეაბერდნენ" ერთმანეთს და 1987 წელს ბევრმა მათგანმა საქართველოს თასით ხელში შემოურბინა „დინამოს" მინდორს. შეტევების ლიდერი კვლავაც 33 წლის ჯონი ჯაგიდისია, იგი 19 გოლით მეორე ჯგუფის საუკეთესო ბომბარდირია. ჯაგიდისმა, მიუხედავად სოლიდური ასაკისა და წონისა, მთელი მატჩი არ მოასვენა „ზოოვეტის" ახალგაზრდული დაცვა, თითქმის ყველანი ოლიმპიური ნაკრების წევრები რომ არიან და ჯერ თანაგუნდელებს გაატანინა გოლები, მატჩის მიწურულს კი მეკარესთან პირისპირ გასულმა ისიც მშრალზე დასვა და მეოთხე გოლი გაიტანა. შეტევაში ჯაგიდისს აქტიურად ეხმარებოდა 36 წლის ბესო უგულავა, დაცვას კი უნარიანად ხელმძღვანელობდა 34 წლის გიორგი ყიფშიძე. ამ მოგებით „სიონი" ხუთი ქულით მოსწყდა მდევარ „ზოოვეტს", ლიდერ „მესხეთს" კი ქულით ჩამორჩება.

**— ბატონო ნოდარ, ბოლნისში როგორ აღმოჩნდით?**

— ჩემმა ძველმა მეგობარმა, „სიონის" მეპატრონე მერაბ ჯაფარიძემ მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი. პირველი წრის წინ ჩინებული შეკრება მოვაწყვეთ კაზრეთში და აკი ეს გუნდს დაეტყო კიდეც — ზედიზედ რვა თამაში მოვიგეთ სტარტზე. მეორე წრის წინ ჩვენც შეგვაწუხა უსახსრობამ და თამაშები, ფაქტიურად, მოუმზადებლებმა დავიწყეთ, მაგრამ ინერციით ჯერ კიდევ ვიგებთ. გუნდი, როგორც ხედავთ, ძირითადად ადგილობრივი ვეტერანი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, ჩვენს წარმატებებსაც საფუძვლად მათი გამოცდილება უდევს. პირველ ჯგუფში გადასვლას თავიდან არც ვგეგმავდით, მაგრამ მერე, რომ იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო და ახლა რეალურად ვიბრძვით პირველი ადგილისთვის, თუმცა ყველაფერი 3 მაისს გადაწყდება ახალციხეში, როცა „მესხეთს" შევხვდებით. მე სეზონის ბოლომდე დავრჩები გუნდში, მერე კი ვნახოთ, თუ პირველ ჯგუფში გადავედით, შეიძლება, ისევ განვაგრძო მუშაობა.

**— „სიონში" ამინდს ვეტერანები ქმნიან, თუ დარჩით გუნდში, ახალგაზრდებს არ დაიმატებთ?**

— თუ დავრჩი, ალბათ ასეც მოხდება, თუმცა ხელაღებით ვეტერანებზე უარს ვერ ვიტყვით, ხომ ნახეთ, დღეს მათმა გამოცდილებამ მოიგო.



ალკაზ ქანთარია

**— რა მაგის პასუხია და, თქვენს ვაჟებსაც ხომ არ გადმოიყვანდით მომავალში გუნდში?**

— ერთი თხუთმეტი წლისაა, მეორე თოთხმეტის, ჯერჯერობით საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე თამაშობენ. თუ იმ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, მე რომ წავუყენებ, არც ეგაა გამორიცხული.

მამუკა კვარაცხელია

# საშემოდგომო გამოცდები

წელს, შემოდგომით ჩვენი ახალგაზრდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში იასპარეზებენ. 16-წლიანთა ნაკრები (მთავარი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე, მწვრთნელები — ოთარ რუხაძე და კოტე დოლიძე) 18-20 ოქტომბერს უკრაინაში ითამაშებს მასპინძლებისა და ლატვიელების წინააღმდეგ. ამ ჯგუფში გამარჯვებულს გაისად ავსტრიაში ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება ეძლევა. ამათზე 2 წლით უფროსთა ნაკრებს (მთავარი მწვრთნელი — ნიკა ამირეჯიბი, მწვრთნელები თენგიზ კაცია და თენგიზ სულაქველიძე) მეტოქედ იუგოსლავიისა და ავსტრიის ნაკრებები შეხვდა. შესარჩევი თამაშები ოქტომბერში გაიმართება ავსტრიაში.

### ივერია 2:1 სამგურალი

**სწორედ ამ ანგარიშით დამთავრდა პირველი ჯგუფის XXIII ტურის მატჩი 20 აპრილს, და არა 5:0, როგორც წინა ნომერში დავწერეთ.**

# იტალია

## „იუვე“ ტრადიციას არ ღალატობს

**28-ე ტური. 23 აპრილი**

ევროპის ჩემპიონატის ღლეს გასამართი შესარჩევი მატჩების გამო კვირას „სერია A“-ს ბევრმა გუნდმა სხვადასხვა ნაკრების შეკრებებზე გამოძახებული ლეგიონერები მოისაკლისა და ზოგიერთი შედეგი უმთავრესად სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა. თავად იტალიის ნაკრების ფეხბურთელებმა კი შეკრება ორშაბათს დაიწყეს. გასული ტურის მიმოხილვამდე გაეცანით იმათ, ვინც არიგო საკიმ ლიტვასთან თამაშისთვის მოიწვია. მეკარეები: პალიუკა, ბუჩი; მცველები: მალდინი, კოსტაკურტა, ბენარივო, მინოტი, კარნაშალი, კარბონი; ნახევარმცველები: ალბერტინი, დინო ბაჯო, ბერტი, კონტე, კრიპა, დი მატეო, ლომბარდო; თავდამსხმელები: რობერტო ბაჯო, კაზირაგი, ძოლა, რავანელი.

### იუვენტუსი 0:1 პადოვა

იუვენტუსი: რამპულა, ფერარა, ტორიჩელი (69 ვიალი), კარერა, პორინი, მაროკი (46 ტაკინარდი), დი ლივიო, ა. კონტე, დელ პიერო, რ. ბაჯო, რავანელი.

პადოვა: ბონაიუტი, ბალერი, გაბრიელი, ფრანჩესკეტი, კუიჩი (79 როზა), ლალასი, კრეეკი, ნუნციატა, გალდერიზი (73 ვლაოვიჩი), ლონჯი, მანიერო.

40 308 მაყურებელი

„იუვენტუსი“ ან სამ ფრონტზე ბრძოლით გადაიღალა, ან „მილანის“ შარშანდელ ტრადიციას, ჩემპიონობის განაღდებისთანავე აუტსაიდერთა შველა რომ დაიწყო, არ უღალატა და კვირას ზედიზედ მეორე საშინაო თამაში წააგო. თავიდან მასპინძლებმა შეუტიეს, მაგრამ ბონაიუტი მაგრად დაუხვდა და დელ პიეროს ორი სახიფათო დარტყმა მოიგერია. ეს იყო და ეს. ამის მერე „იუვენტუსს“ ხეირიანი არაფერი შეუქმნია, რავანელის ორ უსუსურ დარტყმას თუ არ ჩავთვლით. მომავალ ჩემპიონს არც გამოჯანმრთელებული ვიალის გამოსვლამ უშველა. სტუმრებმა წარმატებას 76-ე წუთზე მიაღწიეს — ბოლო სამ თამაშში ექს-აიაქსელ მიშელ კრეეკს უცილოდ გოლი გაჰქონდა და არც ახლა შედრკა: რამპულას კარიდან 18-ოდე მეტრში დანიშნული საჯარიმოდან ბურთი უძლიერესი დარტყმით ცხრიანში გაახვია.

### რომა 0:2 ლაციო

რომა: ჩერვონე, ალდაირი, ლანა, სტატუტო, პეტრუცი, კარბონი, მორიერო, პიაჩენტინი (46 კაპიოლი), ბალბო, ჯანინი, ტოტი (78 მაინი).

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, დი მატეო, ბერგოდი, შამოტი, რამბაუდი (88 დი ვაიო), ფუზერი, კაზირაგი, ვენტურინი, სინიორი (76 გესქოინი).

73 893 მაყურებელი

დედაქალაქურ დერბის შიშით ელოდა რომის პოლიცია — ამ გუნდების გულშემატკივრებს ხომ დიდი მტრობა აქვთ ერთმანეთთან, ამიტომ რომის პაპმაც კი ისარგებლა შემთხვევით და ტრადიციულ საკვირადღეო ქადაგებაში, არა იხნუბოთო, რომაელ ტიფოზებს მოუწოდა. კარგი იქნებოდა, კათოლიკთა სულიერ მამას ფეხბურთელებიც დაემოძღვრა, თორემ ამათ თამაშის დროს ორჯერ ისეთი აყალ-მაყალი გამართეს, მთლად უწყინარ გულშემატკივარზე იმოქმედებდა. ხუთი კაცი მსაჯმა გააფრთხილა (კაპიოლი, პეტრუცი, დი მატეო, სინიორი, ფუზერი), ჯუზეპე ჯანინი კი, ვინც რამბაუდის სახეში იდაყვი სთხლიშა, 73-ე წუთზე მოედნიდან მოკვეთა. რაც შეეხება ბურთაობას, აქ, როგორც პირველ წრეში, „სტუმრებმა“ იმარჯვეს, თუმცა სრულ რევანშამდე ერთი ბურთი დააკლდათ. პირველი გოლი 30-ე წუთზე გავიდა: ჩერვონეს მოგერიებული ბურთი ნეგრომ მაკრატელათი ისევ მეტოქის კარებთან დააბრუნა, აქ მას კაზირაგი დახვდა და ამანაც იმავე მეთოდით კარში გადააგზავნა. ამის მერე სინიორის და ფუზერს გაუცუდდათ მომენტები, 70-ე წუთზე კი სინიორის პასით საჯარიმოში შესული კაზირაგი ჩერვონემ წააქცია და პასის ავტორმა პენალტი გაიტანა.

### სამპდორია 2:2 ფიორენტინა

სამპდორია: ძენგა, მანინი (68 საკეტი), სერენა, გულიტი, ვერხოვოდი, მიხაილოვიჩი, ლომბარდო, იუგოვიჩი, ბელუჩი, რ. მანჩინი, ინვერნიცი (86 მ. როსი).

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, ლუპი, სოტილი (46 ტედესკო), მარსიუ სანტუში, მალუში, ა. კარბონე, კოისი (73 ფლაკი), ბატისტუტა, დი მაურო, ბაიანო.

30 000 მაყურებელი

ისევე როგორც ხუთშაბათს თასების თასზე, „სამპდორიამ“ ამჯერადაც ვერ შეძლო ორბურთიანი სხვაობის შენარჩუნება, ქულა დაკარგა და მომავალ სეზონში ევროთასებზე გასვლის პერსპექტივა შეიმცირა. ანგარიში მეცხრე წუთზე გაიხსნა, როცა „არსენალთან“ მატჩის ანტიგმირის, ატილიო ლომბარდოს ჩინებული პასი გულიტმა გამოიყენა და თავით სეზონში მე-11 გოლი გაიტანა. რასაკვირველია, ეს არ მოეწონათ სტუმართა გულშემატკივრებს და მალე გვერდით ხაზთან მდგომ ჰოლანდიელს სწორედ იმ თავში, გოლი რომ შეაგდო, რაღაც საგანი გაარტყეს. თამაში ცოტა ხნით შეწყდა — გულიტს უექიმეს, მანჩინიმ და ლომბარდომ კი თავიანთ ტიფოზებს ასეთი სიზუსტის ნაკლებ გამოვლენა სთხოვეს. მეორე გოლი 71-ე წუთზე გავიდა: ინვერნიცი მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში, მეკარეც გამოიტყუა და კართან ეულად დარჩენილ გულიტს, ამის გაბზარული თავის ამბავი რომ ახსოვდა, ბურთი ფეხზე დაასვა — 2:0. აქ სტუმრებიც აბობოქრდნენ და ოთხ წუთში ბატისტუტამ ულამაზესი თაურით სხვაობა შეამცირა, კიდევ ორ წუთში კი მასპინძელთა საჯარიმოსთან „ფიორენტინას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ბაიანომ მალუშის პასი მიიღო, ვერხოვოდი მოატყუა და ძენგასაც პირში ჩალა გამოავლო.

### კალიარი 4:2 რეჯანა

კალიარი: ფიორი, ვილა, პუშედუ, ერერა, ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, ბერეტა, დელი ვალდესი (55 ალეგრი), ოლივეირა (85 სანა), მუცი.

რეჯანა: ანტონიოლი, პარლატო, კერუბინი, სგარბოზა (62 გამბარო), გრეგუჩი, ლ. დე აგოსტინი, რუი აგუაში, ბრამბილა, პადოვანო, ფუტრე, ძანუტა.

14 459 მაყურებელი

სარდინიელებმა ბოლოს ოთხი გოლი წინა ჩემპიონატში „ლაციოს“ გაუტანეს. კვირას „კალიარის“ გოლების დასაბამი მე-17 წუთზე ორიგინალური საჯარიმო დარტყმით ოლივეირამ დაუდო. შვიდ წუთში მუციმ მეორე გოლი გაიტანა. 37-ე წუთზე პადოვანომ შეამცირა სხვაობა, რომელიც მუციმ 68-ეზე ისევ აღადგინა. სტუმრებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს და რვა წუთში პორტუგალიური კომბინაცია რუი აგუაში-ფუტრე ამან გოლით დაასრულა, მაგრამ ოლივეირამ შვიდი წუთით ადრე „რეჯანა“ მეოთხედ გაამწარა.

### პარმა 3:0 ინტერი

პარმა: ბუჩი (85 ჯ. გალი), ბენარივო, დი კიარა, მინოტი, სუსიჩი, მუსი, პინი (69 ფიორე), დ. ბაჯო. ძოლა (84 ბროლინი), სენსინი.

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, მ. კონტე, ან. ორლანდო (61 ორლანდინი), მ. პაგანინი, ბია, ბიანკი, დელვეკიო, დელ ანო, სოსა.

24 787 მაყურებელი

ჰოლანდიის ნაკრებში მოწვეული იონკისა და ბერხკამპის გარეშე „ინტერმა“ უსუსური შთაბეჭდილება დატოვა და 12 თებერვლის მერე პირველად წააგო, თან დიდი ანგარიშით, როგორითაც მილანელები ბოლოს 1993-94 სეზონში იმავე „პარმასთან“ დამარცხდნენ (მაშინ 1:4). პირველ ტაიმში სოსამ ძელს გაარტყა, რასაც დინო ბაჯომ ანალოგიურად უპასუხა. ანგარიში კი 54-ე წუთზე გაიხსნა: არგენტინელმა სენსინიმ მშვენიერ ფორმაში მყოფი ძოლას ზუსტი პასი მიიღო, ბია მოატყუა და სეზონში თავისი პირველი გოლი შეაგდო. ოც წუთში ძოლამ მარცხნიდან საჯარიმო ჩააწოდა და, წინა ტურში რობერტო ბაჯოს კურიოზული დარტყმის დარად, ბურთს აქაც არავინ შეეხო და კარში გავიდა. კიდევ რვა წუთში სენსინიმ კვლავ ბიას დაასწრო და კვლავ ძოლას ჩინებული პასი დააგვირგვინა, ოღონდ ამჯერად თაურით. ამის მერე ნევიო სკალამ ძოლა გაიყვანა და მოედანზე შემოუშვა შვედი ბროლინი, ვისაც გასული წლის 16 ნოემბრის მერე ტრავმის გამო არ უთამაშია.

### ბარი 3:0 ბრეშია

ბარი: ფონტანა, მანგონე, პ. ანონი, უერსონი (69 მონტანარი), ამორუზო (8 კაუ), რიჩი, გაუტიერი, პედონე, პროტი, ბარონე, გერერო.

ბრეშია: ბალოტა, ადანი, მეცანოტი (46 ბონეტი), ბარონკელი, ფრანჩინი, სკენარდი (69 ბერნარდი), კორინი, ნერი, ჯუნტა, გალო.

16 212 მაყურებელი

„ბრეშიამ“, რომელმაც ამ სეზონში მეექვსედ წააგო დიდი ანგარიშით, მხოლოდ მატჩის მიწურულს შეუტია, ამ დროისთვის კი მასპინძლებს ლორენცო ამორუზოს (40), იგორ პროტის (51) და კოლუმბიელ მიგელ გერეროს (60) სამი გოლი ჰქონდათ გატანილი.

### კრემონეზე 4:1 ჯენოა

კრემონეზე: ტურჩი, გარსია (65 ა. პირი; 71 ფერარონი), მილანეზე, ჯანდებიაჯი, დალ ინია, ვერდელი, კიეზა, კრისტიანი, ფლორიანჩიჩი, ნიკოლინი, ა. ტენტონი

ჯენოა: მიკილო, დელი კარი, გალანტე, ფრანჩესკონი, კარიკოლა, მარკოლინი, მანიკონე, ბორტოლაცი, ჩოჩი (64 სინიორინი), ონორატი, ვანტ სხიპი (46 მიურა).

6 930 მაყურებელი

ამ სეზონში „ჯენოას“ ორი საშინაო მარცხიდან ერთი სწორედ კრემონელთა ანგარიშზეა. მათ არც შინ დაინდეს ჩეხეთის ნაკრებში მიწვეული სკუჰრავის არყოფნით დასუსტებული მეტოქე. მეორე ტაიმის შუამდე სტუმრები უმკლავდებოდნენ მასპინძლებს — 48-ე წუთზე იაპონელი მიურას წაქცევისთვის დანიშნული პენალტიდან მარკოლინიმ გაათანაბრა ანგარიში, რომელიც 38-ე წუთზე ენრიკო კიეზამ გახსნა. 63-ე წუთი გენუელთათვის საბედისწერო გამოდგა: უხეშობისთვის დელი კარი გააძევეს და აქედან მოყოლებული „კრემონეზეს“ უპირატესობა აშკარა გახდა — კიეზამ პენალტით (67) და ორჯერ ანდრეა ტენტონიმ (76, 90) მეტოქეს სეზონში მეოთხე დიდი ანგარიშით წაგება აგემეს.




მიშელ კრეეკმა („პადოვა“) გოლი ზედიზედ ოთხი თამაშში გაიტანა

### ნაპოლი 2:1 ფოჯა

ნაპოლი: ტალიალატელა, მატრეკანო, ბორდინი, კანავარო, კრუსი, ბუზო, რინკონი, აგოსტინი (78 ლერდა), ბ. კარბონე, პეკია (67 ალტომარე).

ფოჯა: ფ. მანჩინი, პადალინო, ბიანკინი, ნიკოლი, დი ბიაჯო, კაენი, ბრეშიანი (75 კოლივანოვი), ბიაჯონი, კაპელინი (78 მარაცინა), დე ვინჩენცო, მანდელი.

35 000 მაყურებელი

მასპინძელთა ორივე გოლი ბრაზილიელი ანდრე კრუსის ანგარიშზეა. მან ჯერ 24-ე წუთზე ბენიტო კარბონეს ჩაწოდებული კუთხურისას იხეირა, 73-ეზე კი ზუსტად დაარტყა საჯარიმო. ამათ შორის ფოჯელმა ობერდან ბიაჯონიმაც დამსწრეთ საჯარიმოს შესრულების ჩინებული მაგალითი უჩვენა. ბოლო წუთებში კოლუმბიელი რინკონი ორჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ორივეჯერ ფრანკო მანჩინიმ იმარჯვა.

### მილანი 5:1 ფოჯა

ფრანგებთან ნაჩვენები ბრწყინვალე თამაში „მილანმა“ „ტორინოსთანაც“ გააგრძელა. მე-19 წუთზე ლენტინის პასით სავიჩევიჩმა ანგარიში გახსნა. ორ წუთში სიმონემ ამას მეორე დაამატა და მიუხედავად იმისა, რომ ათ წუთში რიციტელიმ როსის ბურთი იღლიაში გაუძვრინა, მასპინძელთა შეჩერება იმ დღეს შეუძლებელი იყო: ლენტინიმ (61) და ორჯერ დონადონიმ (68, 84) საქმე განადგურებამდე მიიყვანეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 28 | 19 | 4 | 5 | 44-24 | 61 |
| პარმა | 28 | 15 | 8 | 5 | 45-25 | 53 |
| მილანი | 28 | 13 | 9 | 6 | 43-29 | 48 |
| რომა | 28 | 13 | 9 | 6 | 34-20 | 48 |
| ლაციო | 28 | 14 | 5 | 9 | 59-33 | 47 |
| ფიორენტინა | 28 | 11 | 11 | 6 | 52-41 | 44 |
| ინტერი | 28 | 12 | 8 | 8 | 30-24 | 44 |
| კალიარი | 28 | 11 | 9 | 8 | 35-32 | 42 |
| სამპდორია | 28 | 10 | 10 | 8 | 42-30 | 40 |
| ტორინო | 28 | 11 | 7 | 10 | 34-36 | 40 |
| ნაპოლი | 28 | 9 | 11 | 8 | 33-40 | 38 |
| ბარი | 28 | 10 | 6 | 12 | 31-35 | 36 |
| პადოვა | 28 | 11 | 2 | 15 | 32-50 | 35 |
| კრემონეზე | 28 | 8 | 6 | 14 | 25-30 | 30 |
| ფოჯა | 28 | 7 | 8 | 13 | 27-39 | 29 |
| ჯენოა | 28 | 7 | 8 | 13 | 27-43 | 29 |
| რეჯანა | 28 | 3 | 5 | 20 | 20-42 | 14 |
| ბრეშია | 28 | 2 | 6 | 20 | 14-54 | 12 |

ბომბარდირები

გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა) — 22
აბელ ბალბო (რომა) — 17
ჯანფრანკო ძოლა (პარმა) — 16
სანდრო ტოვალიერი (ბარი) — 15
ჯუზეპე სინიორი (ლაციო) — 15
მარკო სიმონე (მილანი) — 14
ჯანლუკა ვიალი (იუვენტუსი) — 13
რუჯერო რიციტელი (ტორინო) — 13

„სერია B“. ლიდერთა მდგომარეობა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 31 | 16 | 14 | 1 | 49-18 | 62 |
| უდინეზე | 31 | 14 | 12 | 5 | 50-31 | 54 |
| ვიჩენცა | 31 | 12 | 15 | 4 | 33-18 | 51 |
| სალერნიტანია | 31 | 14 | 9 | 8 | 46-34 | 51 |
| ანკონა | 31 | 13 | 10 | 8 | 44-38 | 49 |
| ატალანტა | 31 | 11 | 14 | 6 | 34-31 | 47 |
| პერუჯა | 31 | 10 | 15 | 6 | 34-25 | 45 |
| ჩეზენა | 31 | 10 | 14 | 7 | 35-29 | 44 |
| ვერონა | 31 | 9 | 15 | 7 | 32-28 | 42 |

# გერმანია

XXVII ტური. 21 აპრილი. **მიონხენგლადბახი — ჰამბურგი 2:1, კარლსრუე — შტუტგარტი 3:1, ბოხუმი — კიოლნი 1:0.** 22 აპრილი. **ბაიერნი — დორტმუნდი 2:1, დინამო — აინტრახტი 1:2, ვერდერი — კაიზერსლაუტერნი 2:2, ფრაიბურგი — მიუნხენ 1860 1:1, ლევერკუზენი — დუისბურგი 2:0, შალკე — ურდინგენი 2:0.**

## ბუნდესლიგაში ნამუსი კარგი საქონელია

შუა კვირაში ქვეყნის ფეხბურთის კავშირმა თავის ისტორიაში უპრეცენდენტო გადაწყვეტილება მიიღო და პირველად ფეხბურთელი სპორტული აფერისტობისთვის დასაჯა. როგორც ხვდებით, საქმე ანდრეას მიოლერს ეხება. მას ორი თამაშის გამოტოვება და 10 ათასი მარკის გადახდა მიუსაჯეს. არადა, შაბათს დორტმუნდის „ბორუსია“ „ბაიერნს“ ხვდებოდა...

პარასკევს ტურის სამი მატჩი შედგა. მიონხენგლადბახში ერთობ ეგზოტიკური ამბები მოხდა, თუმცა ბურთაობასთან საერთო ამას არაფერი ჰქონდა. ჯერ ერთი, შვედი მარტინ დალინი თამაშზე ორივე ყურში საყურეგაჩრილი მოვიდა და ვგონებ, ამ განხრით ისტორიაშია შესაყვანი. მეორე კურიოზი კი 63-ე წუთზე მოხდა — შეცვლაზე შესულმა ჰოლგერ ფახმა მეორე გოლი გაუტანა სტუმრებს, თანაგუნდელმა ჰერლიხმა კი მას ეს წარმატება ორიგინალურად მიულოცა და... ტრუსი ჩახადა. თუ გავითვალისწინებთ გერმანული ფეხბურთის თავკაცთა დამოკიდებულებას ამგვარ საქციელთა მიმართ, გამორიცხული არ არის ეროვნული ნაკრების წევრი ერთიორი თამაში სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდეს. არადა, ჰაიკო ჰერლიხი ახლა ბუნდესლიგის უპირველესი ბომბარდირია, რაც მან პარასკევის მატჩის მეათე წუთზეც დაამტკიცა, როცა კასტენმაიერის პასი გამოიყენა და სეზონში თავისი მე-17 გოლი შეაგდო. ამ ორ ბურთს სტუმრებმა მხოლოდ ალბერცის 84-ეზე გატანილი ერთი გოლით უპასუხეს.

ტურის უმშვენიერესი გოლიც პარასკევსვე გავიდა. ჰესლერის საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი „შტუტგარტის“ კარის ძელს მოხვდა, ასხლეტილი კი 22 მეტრიდან ჰაიკო ბონანმა შეუჩერებლად დაარტყა და ანგარიში გახსნა. სამ წუთში ტორსტენ ფინკმა გამოიყენა რუსი კირიაკოვის ზუსტი პასი, 33-ეზე კი ჰესლერმა მესამე შეაგდო. სტუმრებიდან მხოლოდ ბრაზილიელი ელბერი გამოირჩეოდა და სწორედ მან გაიტანა 69-ეზე პრესტიჟის გოლი. რაც შეეხება „შტუტგარტის“ მეორე ბრაზილიელ დუნგას, მან თავი ერთობ უზუსტო საჯარიმო დარტყმებით „გამოიჩინა“. იმ დღის კიდევ ერთ მატჩში „კიოლნი“ თავიდან უტევდა, მაგრამ მსაჯმა 24-ე წუთზევე სტუმართა ვეტერანი როლფი კარიერაში მეხუთედ გააძევა და ამის მერე „კიოლნის“ კაპიტან ბოდო ილგნერს რომ არ ეყოჩაღა, მასპინძლები დიდი ანგარიშით მოიგებდნენ — ერთადერთი გოლი 48-ე წუთზე ფრონცეკმა შეაგდო.

შაბათს ტურისა და ჩემპიონატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა. „აიაქსთან“ სამარცხვინო წაგების შემდე ტრაპატონიმ კარში კანი დააყენა და მასპინძლებმაც პირველივე წუთიდან იძალეს. უკვე მეორე წუთზე შუპის დარტყმული ბურთი კარიდან მცველებმა გამოიტანეს, მალე შოლის საჯარიმო კარს ორიოდ სანტიმეტრში აცდა. მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში დატრიალდა. 51-ე წუთზე სუტერის ნაცვლად გამოსულმა ციკლერმა გახსნა ანგარიში, 69-ზე კი შოლის კუთხური ციგემ თავით გამოიყენა — 2:0. იქვე ნერლინგერს შეეძლო მესამე გოლის გატანა, მაგრამ მცირედით ააცილა. თამაში ბოლო წუთებში დაიძაბა. ჯერ 83-ე წუთზე ჩინებული დარტყმით 18 წლის ლარს რიკენმა შეამცირა სხვაობა, გათანაბრება კი გამოცდილ რიდლეს შეეძლო, მაგრამ თაური ააცილა.

დორტმუნდის მარცხით „ვერდერს“ ლიდერობის შანსი მიეცა, მაგრამ კვლავ ვერ გამოიყენა. ის კი არა, კინაღამ ორივე ქულა გაატანა შინიდან „კაიზერსლაუტერნს“, რომელიც ბრემესა და მარშალის გოლებით უკვე მე-17 წუთზე 2:0 იგებდა.




აქამდე დაწუნებული ჰანს-პეტერ ლენჰოფი „ლევერკუზენში“ საუკეთესო იყო

რამდენიმე გაცუდებული მომენტის შემდეგ მასპინძლებმა 50-ე წუთზე პირველი გოლი გაიტანეს — ავსტრიელი ჰერცოგის პასით ბოდემ იხეირა. ორ წუთში ოლაფ მარშალს შეეძლო საქმის დამთავრება, მაგრამ ცარიელ კართან მდგომმა ააცილა და დაისაჯა კიდეც — რვა წუთში ისევ ჰერცოგის პასით ისევ ბოდემ ანგარიში გაათანაბრა. ამის მერე სტუმრები ყრუ დაცვაზე გადავიდნენ და ორჯერ ჰერცოგსა და ბასლერს ცოტა ზუსტად რომ ემოქმედათ, წააგებდნენ კიდეც.

შაბათს ვერც მესამე ადგილზე მყოფმა „ფრაიბურგმა“ მოიგო. თავიდან მასპინძლებმა პენალტი ვერ გამოიყენეს, 41-ე წუთზე კი პეტერ ნოვაკისგან გოლიც გაუშვეს — 0:1. მეორე ტაიმის ურიცხვ საგოლე მომენტებში მხოლოდ მცველმა მარტინ შპანრინგმა იმარჯვა და 54-ე წუთზე თავის გუნდს ქულა შეაშველა. შინ ვერ მოიგო დრეზდენის „დინამომაც“, რომლისთვისაც „აინტრახტთან“ მატჩი ალბათ ბოლო შანსი იყო. პირველად ამ სეზონში მასპინძლებმა ჩერჩესოვი არ ათამაშეს და მის მაგივრად კარს იცავდა 22 წლის მარკ შარცერი, რომლისთვისაც ეს ბუნდესლიგის დებიუტი იყო. სწორედ ახალბედას რიგიანმა თამაშმა განაპირობა, რომ კარგა ხანი სტუმრები გოლს ვერ იტანდნენ, დინამოელები კი 37-ე წუთზე მარკო დიტკენის გატანილი გოლებით ლიდერობდნენ, მაგრამ 79-ე წუთზე ბინცმა, რვა წუთში კი ანიჩიჩმა ერთ დროს გედეერის გრანდი საბოლოოდ ჩაძირეს. კიდევ ორ მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს. „შალკემ“ ანდრეას მიულერის (61) და ჰოლანდიელი იური მულდერის (81) გოლებით მოიგო, ლევერკუზენის „ბაიერმა“ კი „პარმასთან“ უსუსური მატჩის მერე უშუსტეროდ ითამაშა. რიბეკმა სასტარტო შემადგენლობაში რატომღაც აქამდე იგნორირებული ჰანს-პეტერ ლენჰოფი დააყენა და ამანაც გაამართლა — 39-ე წუთზე ტომის პასის შემდეგ თაურით ანგარიში გახსნა, 66-ე წუთზე ტომმა ამჯერად ფიოლერი გაიყვანა პირისპირ — 2:0.

გიგა კოგახიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 27 | 16 | 7 | 4 | 54-25 | 39 |
| ვერდერი | 27 | 16 | 7 | 4 | 52-28 | 39 |
| ფრაიბურგი | 27 | 16 | 5 | 6 | 56-37 | 37 |
| კაიზერსლაუტ. | 27 | 13 | 11 | 3 | 40-28 | 37 |
| გლადბახი | 27 | 15 | 6 | 6 | 56-32 | 36 |
| ბაიერნი | 27 | 11 | 13 | 3 | 49-36 | 35 |
| კარლსრუე | 27 | 9 | 11 | 7 | 38-34 | 29 |
| ლევერკუზენი | 27 | 10 | 8 | 9 | 46-38 | 28 |
| კიოლნი | 27 | 9 | 8 | 10 | 43-43 | 26 |
| შალკე | 27 | 8 | 10 | 9 | 36-36 | [illegible] |
| შტუტგარტი | 27 | 8 | 9 | 10 | 45-5[illegible] | [illegible] |
| ჰამბურგი | 27 | 8 | 8 | 11 | 34-[illegible] | [illegible] |
| აინტრახტი | 27 | 8 | 8 | 11 | 31-45 | 24 |
| ტსვ მიუნხენი | 27 | 5 | 9 | 13 | 31-48 | 19 |
| ურდინგენი | 27 | 4 | 10 | 13 | 27-39 | 18 |
| ბოხუმი | 27 | 7 | 3 | 17 | 29-55 | 17 |
| დუისბურგი | 27 | 4 | 7 | 16 | 20-48 | 15 |
| დინამო | 27 | 3 | 6 | 18 | 24-53 | 12 |

## ესპანეთი

XXX ტური. 22 აპრილი. რეალი — ვალენსია 3:1. 23 აპრილი. ბარსელონა — ვალიადოლიდი 4:1, ლა კორუნია — ოვიედო 2:2, სელტა — სოსიედადი 2:1, ბეტისი — ტენერიფე 3:0, ლოგრონიესი — ატლეტიკო 0:0, ალბასეტე — სარაგოსა 0:3, ატლეტიკი — კომპოსტელა 1:0, სპორტინგი — ესპანიოლი 0:0, რასინგი — სევილია 0:3

# ჩამწარებული იუბილე

ყოველგვარ დღეობასა თუ იუბილეს დასველება უხდება, თუმცა შაბათს „ვალენსიას" მეკარე ანდონი სუბისარეტა, ვინც ესპანეთის ჩემპიონატში მეხუთასე მატჩს ატარებდა, სულაც არ იყო წინააღმდეგი „მშრალად" გამოსულიყო, მაგრამ ყოფილ ბარსელონელს მადრიდელებმა მხოლოდ თამაშის წინ სცეს პატივი და „რეალის" კაპიტანმა სანჩისმა სამახსოვრო ვიმპელი გადასცა, მატჩისას კი მასპინძლებმა აღარ დაინდეს იუბილარი და სამი გოლით დაასაჩუქრეს. მატჩამდე კიდევ ერთი ცერემონიალი მოეწყო: „სანტიაგო ბერნაბეუს" მოედნის ცენტრში ისეთი ხალხი ჩამწკრივდა, ფეხბურთელთაგან ყველაზე მაღალი 187 სანტიმეტრიანი სუბისარეტა ბავშვად მოჩანდა — დამსწრე საზოგადოებამ ევროპის საკლუბო ჩემპიონატში გამარჯვებულ მადრიდის „რეალის" კალათბურთელთა გუნდის ტრიუმფი აღნიშნა.

მატჩის დასაწყისმა სტუმართა უპირატესობით ჩაიარა და „რეალმა" პირველი სახიფათო მომენტი მხოლოდ მე-15 წუთზე შექმნა, მაგრამ სამორანოს დარტყმა ექსბარსელონელმა მოიგერია. მანამდე ვალენსიელებს ორჯერ შეეძლოთ არანაკლებ ტიტულოვანი ბუიოს კარის აღება, მაგრამ რაულის (არ აგერიოთ მადრიდელ რაულში, ვინც ამ დროს ყატარში რუსებს ანადგურებდა) ორი დარტყმიდან ერთს მეკარე მიწვდა, მეორე კი კარს მცირედით ცდა. მალე სტუმართა მეკარემ მადრიდელი ჩილელის კიდევ ერთი დარტყმა, ამჯერად თავური გააუვნებელყო, თუმცა 24-ე წუთზე ანდონიც ვერას გახდა — ამავისკას მარცხნიდან ჩაწოდებულ ბურთს პირველი თითქოს ოტერო უნდა მიწვდომოდა, მაგრამ სამორანომ დაასწრო და თავით ანგარიში გახსნა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ მომენტში ამავისკას პასი მისცა ლუის ენრიკემ, რომელიც აშკარა ოფსაიდში იმყოფებოდა. ოთხ წუთში ამავისკამ კიდევ ერთი, წინაზე უკეთესი პასი მისცა გოლეადორ თანაგუნდელს, მაგრამ ამან ცარიელ კარში ვეღარ შეაგორა, ბურთი ძელს გაარტყა და მეორე გოლის მოლოდინი ხალხს კიდევ 6 წუთით გაუგრძელა. 35-ე წუთზე ლაუდრუპისა და იეროს კომბინაცია ისევ სამორანოს უნდა დაესრულებინა, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილს ხინერი ისე დაეტაკა, მსაჯს ბევრი არ უფიქრია — იერომ პენალტით სეზონში თავისი მეექვსე გოლი შეაგდო

პირველის დარად მეორე ტაიმიც სტუმართა სახიფათო მომენტებით გაიხსნა: პენევს, რობერტოსა და ორჯერ რაულს შეეძლოთ სხვაობის შემცირება, თუმცა მორიგი გოლი კვლავ მათ კარში გავიდა. ამჯერად უკვე იუბილარმა სუბისარეტამ უმუხთლა გუნდს — 72-ე წუთზე კარიდან შეუფერებლად შორს გამოვიდა და სამორანოსაც, ვინც მარტინ ვასკესის ჩინებული პასი მიიღო, არ გასჭირვებია საუკეთესო გოლეადორობის დამტკიცება — ჩემპიონატში თავისი 26-ე გოლის გატანა. აღსანიშნავია, რომ ამ მომენტამდე ხუთიოდე წუთით ადრე ჩილელმა ისიც დაამტკიცა, რომ მსაჯისგან მალულად მეტოქის თავყბის დაზიანებაც შეუძლია — მისი მსხვერპლი ხინერი გახდა. სამაგიეროდ ეს ვალდანოს არ გამოჰპარვია და სამორანო დუბოვსკით შეცვალა. ივანის გასვლა და სტუმართა გოლი ერთი იყო — ბუიომ პოიატოსი მოცელა და ბულგარელმა პენევმა პენალტით სეზონში მეოთხე გოლი გაიტანა.

„რეალი": ბუიო, ჩენდო, ლასა, იერო, რედონდო, სანჩისი, მარტინ ვასკესი, ლუის ენრიკე, სამორანო (76 დუბოვსკი), ლაუდრუპი, ამავისკა (78 ალფონსო); „ვალენსია": სუბისარეტა, რომერო, ოტერო, კამარასა, ხინერი, მაზინიო, რობერტო, რაული (60 გალვესი), პენევი, ფერნანდო (60 პოიატოსი), ალვარო.

კვირას ლიდერის უახლოესმა მდევარმა შინ ქულა დაკარგა „ოვიედოსთან". არადა, პირველ ტაიმში მასპინძლები 2:0 იგებდნენ — ოთხი წუთის ინტერვალით სალინასმა და ბებეტომ ივაჟკაცეს. მანამდე ბრაზილიელმა ბურთი ძელსაც გაარტყა, მაგრამ ამათი მთელი ნამოღვაწარი წყალში გადაიყარა. სტუმრებმა მეორე ტაიმის შუაწელს ჯერ სხვაობა შეამცირეს, 86-ე წუთზე კი ხორვატი პროსინეჩკის დარტყმული ბურთი მასპინძელთა მეკარემ საკუთარ კარში მოიგერია და თავისი გუნდის მეორე ადგილზე გასვლაც კითხვის ქვეშ დააყენა, ვინაიდან იმ დღეს „ბარსელონას" „ვალიადოლიდი" შემოენადგურა. აქ თავი უმცროსმა კრუიფმა ისახელა — პირველი და



ანდონი სუბისარეტა

მესამე გოლები მის ანგარიშზეა. ამათ შორის მაჩანჩალას ერთ-ერთი მცველის დარტყმული ბეგირისტაინს მოხვდა და „ვალიადოლიდის" კარში შევარდა. მეოთხე გოლი კი ამორმა გაიტანა. აუტსაიდერმა ბოლომდე იბრძოლა და ბოლო წუთზე პრესტიჟის გოლიც გახერხა. დიდი ანგარიშით, ოღონდ სტუმრად, მოიგო თასთა თასის ფინალისტმა „სარაგოსამაც" (ესნაიდერი, ამოლინა, პარდესა) და „ბეტისმაც", ვინც წლეულს მთლად დაიბრიყვა „ტენერიფე" და პირველ წრეში კანარებზე 4:1 მოგების შემდეგ შინ 3:0 გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ ამ მატჩში სევილიელთა რიგებში შემცვლელად კვლავ ითამაშა რაფაელ გორდილიომ.

ზურაბ მეძველია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 30 | 19 | 8 | 3 | 68-22 | 46 |
| ლა კორუნია | 30 | 15 | 9 | 6 | 48-28 | 39 |
| ბარსელონა | 30 | 15 | 8 | 7 | 49-36 | 38 |
| სარაგოსა | 30 | 16 | 5 | 9 | 44-35 | 37 |
| ბეტისი | 30 | 12 | 12 | 6 | 37-19 | 36 |
| სევილია | 30 | 13 | 8 | 9 | 39-30 | 34 |
| ესპანიოლი | 30 | 11 | 11 | 8 | 37-28 | 33 |
| ატლეტიკი | 30 | 11 | 10 | 9 | 26-28 | 32 |
| ტენერიფე | 30 | 12 | 7 | 11 | 46-42 | 31 |
| ოვიედო | 30 | 10 | 11 | 9 | 36-32 | 31 |
| ვალენსია | 30 | 10 | 10 | 10 | 40-36 | 30 |
| სოსიედადი | 30 | 8 | 11 | 11 | 41-41 | 27 |
| სელტა | 30 | 8 | 11 | 11 | 25-38 | 27 |
| რასინგი | 30 | 10 | 6 | 14 | 33-40 | 26 |
| კომპოსტელა | 30 | 8 | 10 | 12 | 30-37 | 26 |
| სპორტინგი | 30 | 7 | 12 | 11 | 34-49 | 26 |
| ატლეტიკო | 30 | 9 | 7 | 14 | 40-44 | 25 |
| ალბასეტე | 30 | 6 | 13 | 11 | 34-45 | 25 |
| ვალიადოლიდი | 30 | 6 | 8 | 16 | 20-55 | 20 |
| ლოგრონიესი | 30 | 1 | 9 | 20 | 9-52 | 11 |

# ფრთხილად, კახპებია!

ყატარში, ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარფინალისტები კი გაირკვა, მაგრამ მალაზიის ბუქმეიქერული მაფიის გადამკიდე საკუთრივ ფეხბურთი დაიჩრდილა და უმთავრეს მოვლენად ფიფას, მოთამაშეებს, განგსტერებს და კახპებს შორის ურთიერთობის გარკვევა იქცა. თავიდან ფიფას მოხელის, გვარად კუპერის პრეს-კონფერენცია გაიმართა. კუპერმა თქვა, გამომძიებლებს ორი ეჭვმიტანილი უკვე ჰყავთ, ოღონდ მათ ვინაობას და სადაურობას ჯერ ვერ გავამხელ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ისინი მონაწილე ქვეყნებიდან არ არიანო. ეს ორი კაცი, თურმე ჭაბუკ ფეხბურთელებს ფულს სთავაზობდა და ეუბნებოდა, დოჰაში საუცხოო მალაზიებია, მიდით და თქვენს გემოზე რაც ისურვოთ იყიდეთო. აიღეს თუ არა ჭაბუკებმა ქრთამი, კუპერმა არ იცოდა, ოღონდ იმედოვნებდა, რომ არ აუღიათ. ასეთი იმედის საბაბს კი ჩინოსანს ის აძლევდა, რომ ქრთამის შეთავაზების შესახებ თავად იმ გუნდიდან შეუტყვია, რომლის ფეხბურთელების შეცდენასაც ლამობდნენ. თუ რომელია ეს გუნდი, საიდუმლოდ დარჩა. ამ ამბიდან ერთი-ორ კვირაში პოლიციამ ვიღაც მალაიზიელი დაიჭირა, რომელიც დოჰაში ჩასულა, ჯერ ერთ სასტუმროში დაბინავებულა, შემდეგ კი მეორეში საეჭვოდ გადაბარგებულა. ჩხრეკისას მას ჩემოდანში 90 ათასი დოლარი უპოვეს. ეჭვობენ, რომ მაფიის მიერ ჩემპიონატზე გაგზავნილი დაჯგუფების ხელმძღვანელი სწორედ ის იყო. იმავე დღეს პოლიციამ ორი მალაიზიელი, ერთი ტაილანდელი და ერთიც ინდონეზიელი ქალი დააპატიმრა. ქალები დაახლოებით 30 წლისანი იყვნენ და ყატარში ტურისტული ვიზით შეუღწევიათ, მაგრამ როგორც გამოძიება ამტკიცებს, მათი მიზანი ტურიზმი სულაც არ იყო. ისინი მაფიას კახპებად ჰყავდა დაქირავებული და ჭაბუკთა მოთაფლვას ლოგინში ქალის ჩაწვენითაც აპირებდნენ. როსკიპები საკანში არ შეუყრიათ, ისინი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს და ქვეყნიდან გააძევეს. ახლა ფიფა აპირებს ყოველი შემთხვევისთვის მათი სახელი და გვარი თავის წევრ 191-ივე ქვეყანას გაუგზავნოს.

ახლა ორიოდ სიტყვით იმის შესახებ, რაც უშუალოდ მოედნებზე ხდება. საერთოდ, უპირველესად შეხვედრათა მსვლელობებს და ანგარიშებს განიხილავენ ხოლმე, მაგრამ პორტუგალიამ პოლანდიას ისეთი უცნაური და ჯამბაზური გოლი გაუტანა, რომ ჯერ [illegible] პოლანდიელთა კარისკენ ჯარიმა დაინიშნა. დამცველმა მხარემ კედელი ააშენა. ბურთისკენ ერთდროულად ორი პორტუგალიელი გაიქცა, ისინი ერთმანეთს დაეჯახნენ და ამის გამო ისეთი ყაყანი და კინკლაობა ატეხეს, რომ საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს. ამასობაში კი ვიღაც მესამემ დაარტყა და გოლი გაიტანა...

20 წლამდე ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი. ყატარი. III ტური.

19 აპრილი. „ა" ჯგუფი. ყატარი — ბრაზილია 0:2, სირია — რუსეთი 0:2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 1 | 0 | 8-0 | 7 |
| რუსეთი | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| სირია | 1 | 0 | 2 | 1-8 | 3 |
| ყატარი | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

„ბ" ჯგუფი. ბურუნდი — იაპონია 0:2, ესპანეთი — ჩილე 6:3

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 13-5 | 9 |
| იაპონია | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| ჩილე | 0 | 2 | 1 | 6-9 | 2 |
| ბურუნდი | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |

20 აპრილი. „გ" ჯგუფი. ჰოლანდია — პორტუგალია 0:3, არგენტინა — ჰონდურასი 4:2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| არგენტინა | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 3 | 7-5 | 3 |
| ჰონდურასი | 0 | 0 | 3 | 5-14 | 0 |

„დ" ჯგუფი. ავსტრალია — გერმანია 1:1, კოსტა რიკა — კამერუნი 1:3

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| ავსტრალია | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| კოსტა რიკა | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| გერმანია | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |

23 აპრილს ნახევარფინალები შედგა. დიდად შეაქეს პორტუგალიელი დანიელ კავალუი და ესპანელ დანი. ორივე მოთამაშემ ნახევარფინალს მიაღწია, მაგრამ თუ ესპანელებს რუსების განადგურება არ გასჭირვებიათ 4:1, პორტუგალიელებმა ავსტრალიელებს მხოლოდ დამატებით დროში მოუგეს. ორი ბურთი ავგუსტინომ შეაგდო. ბრაზილიამ იაპონია გააგდო 2:1, თუმცა თავიდან აგებდა. ეს ბრაზილიელთა პირველი გაშვებული გოლი გახლდათ. თამაშის მერე გამარჯვებულთა მწვრთნელმა სეზარ ლეაომ იაპონელები ძლიერ შეაქო. არგენტინამ კამერუნს 2:0 მოუგო.

პაპუნა კედია

---

აშშ-ის ნაკრებმა, მას მერე, რაც ცნობილი ბორა მილუტინოვიჩი გაუშვა, პირველად ბრიუსელში ითამაშა. ბელგიელებმა ოკეანისგაღმელ სტუმრებს, რომელთაც ახალი მწვრთნელი, ამერიკელი სტივ სემსონი წვრთნით, 1:0 მოუგეს. გოლი ლიეჟის „სტანდარდის" ფეხბურთელმა სხიპენსმა გაიტანა. ბელგიელთათვის ეს შეხვედრა კვიპროსთან დღევანდელი მატჩისთვის სამზადისი იყო.

ინგლისის პრემიერ-ლიგაში ტური გადაიდო. გაიმართა მხოლოდ ერთი მატჩი — „ბლექბერნი" — „კრისტალ პალასი" 2:1. პირველი გოლი ბლექბერნელმა კენერმა 48-ე წუთზე გაიტანა, მისმა თანაგუნდელმა გალაჰერმა ორ წუთში კიდევ ერთი გოლი შეაგდო, მაგრამ 64-ე წუთზე მოედნის საკაცით დატოვება მოუხდა. სტუმრებმა 70-ე წუთზე ერთი საპასუხო კი გაიტანეს, მაგრამ მეტი ვეღარაფერი მოახერხეს. ახლა „ბლექბერნს" 3 თამაში დარჩა და უახლოეს მდევარს „მანჩესტერ იუნაიტედს", რომელსაც კიდევ ოთხჯერ აქვს სათამაშო, 8 ქულით უსწრებს. „ბლექბერნი" ქვეყნის ჩემპიონი ბოლოს პირველ მსოფლიო ომამდე იყო. მეორე ლიგაში კი თამაშები განრიგის მიხედვით გაიმართა. გაირკვა, რომ მესამე ლიგაში „ნოთს ქაუნთი", „კარდიფ სიტი" და „ბრისტოლ სიტი" გავარდნენ. „ნოთს ქაუნთი", ბოლო წლებია, ყველა ლიგაში უარესია და თუ ასე განაგრძო, სამოყვარულო გუნდად იქცევა. რაც შეეხება პრემიერ-ლიგაში „მიდლსბრო", როგორც პირველ ადგილზე გასული, ავტომატურად აღზევდება. შემდეგ მოდიან „ბოლტონი", „ტრანმერი", „ვულვერჰემპონი" და „რედინგი", რომელთაც ზოგს ორი, ზოგსაც სამი ტური აქვთ დარჩენილი და გადასასვლელი მატჩების ჩატარება მოუწევთ. ბოლო ტურში „ბოლტონმა" „რედინგს" 2:1 მოუგო, „ტრანმერმა" „საუთენდ იუნაიტედთან" 0:2 წააგო, „ბერნლიმ" კი „მიდლსბროსთან" 1:1 ითამაშა. გაისად ინგლისის უმაღლეს ჯგუფში 18 გუნდი გამოვა.

## ფეხბურთის რუკასთან



იტალიაში ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს ანტონიო მატარეზეს საქმე საციხედ გაუხდია. დეტალებისგან თავს იკავებენ, მაგრამ ამბობენ, რომ მატარეზეს ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატზე დელეგაციის გასამგზავრებელი ფულიდან ნაწილი ჯიბეში გაუქანებია.

ინგლისში ევროპის საგაისო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ემზადებიან. ორგანიზატორები აპირებენ 600 ათას ბილეთზე (პირველობაზე სულ ამდენი გაიყიდება) სათითაოდ აღნიშნონ მფლობელის სახელი და გვარი, რათა შემდეგ ხულიგანთა მოძებნა გაიოლდეს.

ზიმბაბვეში არეულობაა. ნაკრების მოთამაშეები მალავისთან თამაშს არ აპირებდნენ. საქმე ის ყოფილა, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირს ამ ქვეყანაში ფეხბურთის გასავითარებლად თავის ხარჯებით რაინჰარდ ფაბიში მიუვლენია. მასპინძლები კი ამდგარან და, ნაცვლად იმისა, რომ ამ კაცისთვის ბავშვთა სკოლები მიენდოთ, მისთვის პირდაპირ ეროვნული ნაკრები ჩაუბარებიათ. ნაკრებს ვიღაც ექიმიც ჰყოლია, რომელიც სახელმწიფო ფულით ფეხბურთის ბილეთებს ყიდულობდა და თავის ნათესავებს უფასოდ ურიგებდა. ფაბიშს ექიმის მამაძაღლობა სცოდნია, მაგრამ ხმას არ იღებდა. თანაც ფაბიშს ისიც დააბრალეს, უცხოეთში მოთამაშე ზიმბაბველ ფეხბურთელებს აქეზებს, ნაკრებში არ ჩამოხვიდეთო. ლეგიონერებს კი მართლაც აქვთ პრეტენზიები. „ქოვენთრი სიტის" ფეხბურთელი პიტერ ანლავი, მაგალითად, ნაკრებში თითო თამაშისთვის 1000 გირვანქა სტერლინგს, ანუ 20 ათას ზიმბაბვურ დოლარს ითხოვს. ფედერაცია ამ ხარჯის გაღებას ერიდება, რადგან შიშობს, რომ შემდეგ გასვლითი თამაშებისთვის თვითმფრინავის ბილეთების ფული აღარ დარჩება. არ ჩამოვლენ და ნუ ჩამოვლენ, ბოლოსდაბოლოს, ახალგაზრდული ნაკრების ბიჭებს ვათამაშებთო, ამბობდნენ ზიმბაბვური ფეხბურთის შეფები. საბოლოოდ, მალავისთან თამაში მაინც შედგა და 1:1 დამთავრდა. გოლი ანლავმა გაიტანა. ახლა აფრიკის თასის პირველ შესარჩევ ჯგუფში ზიმბაბვე ორი ქულით უსწრებს მალავის და პირველად აქვს ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი. ფინალი გაისად სამხრეთ აფრიკაში გაიმართება.

ბრაზილიაში მთლად გადაირივნენ: „ფლამენგო" — „ბოტაფოგოს" შეხვედრაში 5 ფეხბურთელი გააფრთხილეს, „გრემიო" — „პალმეირასის" მატჩში 3 გააფრთხილეს, 1 გააძევეს. „პალმეირასის" ბოლო თამაშისას კი 15 წლის გულშემატკივარი ტრიბუნაზე მოკლეს.

დანიის ნაკრებმა ორი ახალი მოთამაშე დაიმატა: „ოლბორგის" ბომბარდირი ერიკ ბო ანდერსონი და იფსვიჩელი კლაუს თომსონი.

---

## თასების თასი

ნახევარფინალის საპასუხო მატჩები. 20 აპრილი

### სამპდორია 3:2 არსენალი

პენალტებით 2:3

(პირველი მატჩი — 2:3)

სამპდორია (გენუა, იტალია): ძენგა, მანინი, ფერი (75 ბელუჩი), სერენა, ვერხოვოდი, იუგოვიჩი, ლომბარდო, მიხაილოვიჩი, მასპერო, მანჩინი, ევანი (60 ინვერნიცი)

არსენალი (ლონდონი, ინგლისი): სიმენი, დიქსონი, ვინთერბერნი, შვარცი, ბოულდი, ადამსი, კიოუნი, რაითი (81 კივომია), პართსონი, მერსონი, ჰილერი (55 მაკგოლდრიკი)

1:0 მანჩინი (13), 1:1 რაითი (61), 2:1, 3:1 ბელუჩი (82, 84), შვარცი (88)

პენალტები: 0:1 დიქსონი, მიხაილოვიჩი (მეკარე), მაკგოლდრიკი (ააცილა), იუგოვიჩი (მეკარე), 0:2 პართსონი, 1:2 მასპერო, 1:3 ადამსი, 2:3 მანინი, მერსონი (მეკარე), ლომბარდო (მეკარე)

### ჩელსი 3:1 სარაგოსა

(პირველი მატჩი — 0:3)

ჩელსი (ლონდონი, ინგლისი): პიჩკოკი, კლარკი, მინტო, სპეკმენი, იონსენი (61 ჰოდლი), სინკლერი, ლი, სტეინი, ფურლონგი, პიკოკი, როკასტლი (46 სპენსერი)

სარაგოსა (ესპანეთი): გარსია, ბელსუე, კაფუ, კასერესი, ოსკარი, სოლანა, პარდესა, არაგონი, ესნაიდერი, იგერა, ნაიმი

1:0 ფურლონგი (30), 1:1 არაგონი (55), 2:1 სინკლერი (62), 3:1 სტეინი (86)

ფინალი:

„არსენალი" — „სარაგოსა" — 10 მაისს პარიზში

---

## ტოტოლოტო

### საფეხბურთო პროგნოზი

**ტირაჟი 15**
26 აპრილი

| | |
|---|---|
| 1 | დანია — მაკედონია |
| 2 | სომხეთი — ესპანეთი (1:0) |
| 3 | უნგრეთი — შვედეთი |
| 4 | შვეიცარია — თურქეთი |
| 5 | ჩეხეთი — პოლანდია |
| 6 | ბელარუსი — მალტა |
| 7 | ირლანდია — პორტუგალია |
| 8 | საქართველო — ალბანეთი |
| 9 | გერმანია — უელსი (0:2) |
| 10 | მოლდოვა — ბულგარეთი (1:0) |
| 11 | საბერძნეთი — რუსეთი |

ჩაბარების ბოლო ვადა 26 აპრილი, სასტუმრო „აჭარა"

**ყურადღება!**
სიახლე მოთამაშეთა თხოვნით

ყოველ ტირაჟში ტოტოლოტოში შემოსული თანხის 80 პროცენტისგან იქმნება მოგების ფონდი. თუ თერთმეტივე შედეგი ვერავინ გამოიცნო, მოგება გაიცემა იმ პირებზე, ვინც 10 შედეგს გამოიცნობს. თუ 10 შედეგიც ვერავინ — მოგება ცხრა შედეგის გამომცნობს შეხვდება, თუ არა და — მოგების მთელი ფონდი მომდევნო ტირაჟისას ემატება.

ყველა ჩაბარებული ბილეთის ქსეროასლი გამოიკვრება სასტუმროს ფოიეში ჩაბარების დღესვე.

**ამავე დროს!**

მიუხედავად იმისა, რა თანხა შემოვა ტირაჟში, 11 შედეგის გამოცნობისთვის მინიმალური მოგება 100 000 მანეთია, 10 შედეგის გამომცნობისთვის (თუ 11 ვერავინ გამოიცნო) — 30 000 მანეთი, 9 შედეგის გამოცნობისთვის (თუ 11 და 10 ვერავინ გამოიცნო) — 10 000 მანეთი.

## საქართველოს ჩემპიონატი

ექვსეული, სპორტის სასახლე

პარასკევი, 21 აპრილი

აზოტი — მერანი 80:73

აზოტი: კიკვიძე (14), გოგოლაძე (13), მჭედლიძე (2), ხაიაური (2), ქობულაძე (17), კეჭაყმაძე (23), გონაშვილი (9)

მერანი: უძილაური (23), გიგაური (16), პეტრიაშვილი (8), ტალაბაძე (12), გაბრიჩიძე (11), დ. ბერიშვილი (3)

ვითა — თორსი 117:62

ვითა: ვაშაკიძე (9), კობეშავიძე, ჩერქეზიშვილი, ბეჟანიშვილი (4), დადიანი (37), კოკოლიშვილი (17), ორმოცაძე (15), ჩუბინიძე (30), კორძაძე (5)

თორსი: ლომიძე (13), სპარსიაშვილი (23), ორჯონიკიძე (3), მიქაძე (12), მოისწრაფიშვილი (5), ხარაძე (6)

საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| კაქტუსი | 28 | 27 | 1 | 2659-1798 | 54 |
| ვითა | 28 | 23 | 5 | 2822-1838 | 50 |
| დინამო | 28 | 21 | 7 | 2559-2051 | 49 |
| მერანი | 28 | 12 | 16 | 2078-2246 | 40 |
| თორსი | 28 | 11 | 17 | 1853-2291 | 39 |
| აზოტი | 28 | 12 | 16 | 1968-2244 | 39 |

კაქტუსს, ვითასა და აზოტს დაკლებული აქვთ თითო ქულა

თორსისა და აზოტის ადგილების განაწილებაში მნიშვნელობა მიენიჭა ერთმანეთთან შეხვედრებში ბურთების სხვაობას, რომელიც თორსს სამით უკეთესი აღმოჩნდა (60:53, 56:54, 63:68, 74:75)

## სტატისტიკა

ექვსეულის ორივე წრის მიხედვით

ბომბარდირები(ქულა, თამაში, საშუალოდ)

ლევან ქარაბაკი (დინამო)
218 9 24,2

ბერდია ქობულაძე (აზოტი)
215 10 21,5

დუდუ დადიანი (ვითა)
191 9 21,2

გია ჩხეიძე (თორსი)
142 7 20,2

შოთა უძილაური (მერანი)
184 10 18,4

ვასილ ოთიურიძე (კაქტუსი)
164 9 18,2

დავით თორთლაძე (კაქტუსი)
154 9 17,1

ვახტანგ ნაცვლიშვილი (კაქტუსი)
136 8 17,0

დავით სპარსიაშვილი (თორსი)
132 8 16,5

მერაბ ნაცვლიშვილი (მერანი)
147 9 16,3

სამქულიანები

დავით თორთლაძე (კაქტუსი) — 27
გია ჩხეიძე (თორსი) — 23
გია სანაძე (ვითა) — 20
ზაზა ცაგარეიშვილი (დინამო) — 16
ლევან ქარაბაკი (დინამო) — 16
მერაბ ნაცვლიშვილი (მერანი) — 16

საჯარიმოები (ნასროლი, ჩაგდებული, %)

დავით თორთლაძე (კაქტუსი)
24 21 87,5

თამაზ გიგაური (მერანი)
20 17 85,0

ლევან ქარაბაკი (დინამო)
31 26 83,8

ზაზა ცაგარეიშვილი (დინამო)
32 25 78,1

ბადრი კიკვიძე (აზოტი)
22 17 77,2

ილია კეჭაყმაძე (აზოტი)
51 36 70,5

ბერდია ქობულაძე (აზოტი)
57 40 70,1

შოთა უძილაური (მერანი)
26 18 69,2

კობა ხაიაური (აზოტი)
24 16 66,7

დავით ბერძენიშვილი (კაქტუსი)
21 13 61,9

ცხრილში შეყვანილი არიან მოთამაშეები, რომლებმაც 20 და მეტი საჯარიმო ისროლეს

## ერთი მატჩის რეკორდები

ექვსეულის ორივე წრის მიხედვით

გუნდური

ყველაზე დიდი სხვაობა: 77 (ვითა — მერანი 149:72)
ყველაზე პატარა სხვაობა: 1 (აზოტი — თორსი 75:74)
ყველაზე მეტი ქულა: 149 ვითა (მერანთან)
ყველაზე ნაკლები ქულა: 52 თორსი (მერანთან)
ყველაზე დიდი ჯამი: 221 (ვითა — მერანი 149:72)
ყველაზე პატარა ჯამი: 118 (მერანი — თორსი 66:52)
ყველაზე მეტი სამქულიანი: 14 კაქტუსი (მერანთან); დინამო (მერანთან)

პირადი

ყველაზე მეტი ქულა: 44 დუდუ დადიანი, ვითა (მერანთან)
ყველაზე მეტი სამქულიანი: 10 დავით თორთლაძე, კაქტუსი (მერანთან)
ყველაზე მეტი ნასროლი საჯარიმო: 20 ბერდია ქობულაძე, აზოტი (ვითასთან)
ყველაზე მეტი ჩაგდებული საჯარიმო: 16 ბერდია ქობულაძე, აზოტი (ვითასთან)

# ოთხი ჩაჭრის ფასი

საქართველოს ჩემპიონატი
კაქტუსი — დინამო 76:73 (42:36)
თბილისი. სპორტის სასახლე. 21 აპრილი
მსაჯები: გ. ავალიშვილი, რ. გელოვანი

| კაქტუსი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 თორთლაძე | 9 | 1 | 3 | — | 3 | 3 | 3 |
| 7 ხოშტარია | 11 | — | 3 | — | 2 | 1 | 2 |
| 15 ჩხეიძე | 8 | 2 | 4 | — | 6 | 4 | 2 |
| 13 ვ.ნაცვლიშვილი | 16 | 8 | 1 | 1 | 4 | 3 | 4 |
| 11 ოთიურიძე | 10 | 7 | 2 | — | 4 | 2 | 2 |
| 14 ბერძენიშვილი | 8 | 2 | — | — | — | — | 4 |
| 6 ჟლენტი | 7 | 1 | 2 | — | — | — | 2 |
| 12 აბრამიძე | 4 | 2 | 1 | — | 2 | — | 2 |
| 5 აბულაძე | 3 | — | — | — | — | — | 1 |
| 9 მაჭარაძე | — | — | — | — | — | — | — |
| სულ | 76 | 23 | 16 | 1 | 21 | 13 | 20 |

| დინამო | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 ცაგარეიშვილი | 3 | 6 | 4 | — | 4 | 3 | 5 |
| 5 მაისურაძე | 5 | 3 | 1 | — | 4 | 1 | 3 |
| 12 ქარაბაკი | 23 | 6 | 1 | — | 4 | 2 | 5 |
| 4 ცხვედიანი | 10 | 5 | — | — | — | — | 1 |
| 8 გ. ვაშაკიძე | 8 | 10 | 1 | — | 2 | 2 | 2 |
| 9 დარსაძე | 19 | 2 | — | — | 4 | 4 | 3 |
| 13 კილაძე | 5 | 7 | 1 | 1 | 2 | 1 | 3 |
| სულ | 73 | 39 | 8 | 1 | 20 | 13 | 22 |

„დინამოსას" კაცი ძნელად გაიგებს რამეს: ამ გუნდს შეუძლია წინა დღით უიმედოდ წააგოს ერთ ლიდერთან, ხოლო მომდევნო დღეს კი მეორე ლიდერს უშელავათო ბრძოლა გაუმართოს, არაფერში ჩამორჩეს და იმ ელემენტშიც დაჩაგროს მეტოქე, რაშიაც ამ უკანასკნელის უპირატესობა ყველა გუნდთან შეხვედრაში აშკარაა. ლაპარაკია მოხსნაზე. „დინამომ" ფარი პირწმინდად მოუგო „კაქტუსს", რითაც სერიოზული პრეტენზია განაცხადა მატჩის მოგებაზე. სამაგიეროდ, ჩემპიონატის ლიდერი ორჯერ ძლიერი აღმოჩნდა მეორე ელემენტში — ჩაჭრაში, რამაც საბოლოოდ შეხვედრის ბედი გადაწყვიტა კიდეც.

პირველ ტაიმში წუთნახევრიანი აფეთქება მოხდა: მე-8 წუთზე ქარაბაკმა ორი საჯარიმოთი, თითო გარღვევითა და სამქულიანთ 19:14 დააწინაურა თავისიანები. ჩხეიძემ და ჟლენტმა იქვე აღადგინეს წონასწორობა. შემდეგ თამაში დაცხრა, „კაქტუსმა" ექვსქულიანი უპირატესობა მიიღო და ტაიმის ბოლომდეც ეს სხვაობა ერთი ქულის მეტ-ნაკლებობით მერყეობდა.

მეორე ტაიმიც ეგრევე დაიწყო და ალბათ ასევე გაგრძელდებოდა, ცხვედიანს სამქულიანი რომ არ ჩაეგდო. ამან დარსაძე შეაგულიანა და შესვენებამდე ნასროლ ორ შედეგიან სამქულიანს ახლა ერთი გარღვევაც დაურთო. შემდეგ ნაცვლიშვილმა ივარგა შორიდან. ქარაბაკმა გულმოდგინედ იჭიდავა ფარქვეშ, ბურთი ჩააგდო, მაგრამ მეტოქის მომდევნო შეტევისას მეხუთე პერსონალური მიიღო და გავარდა. ამ დროს დამთავრებამდე 9,14 წუთი რჩებოდა და „კაქტუსი" 58:56 იგებდა. ცოტა ხნის შემდეგ ირაკლი მაისურაძემ თავის ნახევარზე ჩაჭრა ბურთი, არავის დაანება, მთელი მოედანი გადმოჭრა და ანგარიშიც 60:60 გახდა. საქართველოში NBA-ის მსგავსად რომ არსებობდეს პრიზი „სეზონის ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშეს", მაისურაძე მისი უპირველესი კანდიდატი იქნებოდა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ძალებისა და ყურადღების მოკრება არ აწყენდა. ირაკლიმ ერთი შეტევის გამოტოვებით 4 საჯარიმოს სროლის უფლება მიიღო, მაგრამ, მეტოქეთა ანალოგიურად, აღელდა და მხოლოდ ერთი ჩააგდო. არადა, „კაქტუსი" მხოლოდ ქულას — 62:61 იგებდა. ბერძენიშვილმა ისარგებლა დინამოელთა წუთიერი დაბნეულობით და ზედიზედ ორი ბურთი ჩააგდო ფარქვეშიდან, ამას თორთლაძემ ორი საჯარიმოც მიაყოლა, ოღონდ მანამდე მის თანაგუნდელებს ვაშაკიძე გაექცათ.

სირენამდე ზუსტად სამი წუთით ადრე ბედი კიდევ ერთხელ შებრუნდა „დინამოსკენ". დარსაძემ ზედიზედ 7 ქულა გააკეთა, შუალედში ნაცვლიშვილმა იყოჩაღა, ოღონდ მისიანები უკვე ჩამორჩებოდნენ 70:71. ვატომ შეტევაში კვლავ იხეირა, ოღონდ ბურთის ჩაგდების მომენტში ვაშაკიძეს დაეჯახა და ამანაც საჯარიმოებით კვლავ დააწინაურა „დინამო" — 73:72.

„კაქტუსის" მორიგი შეტევა ჩაფლავდა და ბურთი დინამოელებს ჰქონდათ. აქ კი ნათლად გამოჩნდა, რა დამანგრეველი ეფექტი ჰქონია ბურთის ჩაჭრას. ჯერ თორთლაძემ მოახერხა ეს, ოთიურიძეს პასი მისცა და ცაგარეიშვილს მისი შეჩერება მეხუთე პერსონალურად და გავარდნად დაუჯდა. კაქტუსელმა ერთი საჯარიმო გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა. ნაცვლიშვილმა თავის ფარზე მოხსნა ბურთი და ისე გამოვიდა, რომ თავისივე დაწყებული შეტევა თავისივე ნასროლი ბურთის დამატებით დაასრულა — 75:73. „დინამო" საფუძვლიან შეტევას ამზადებდა, მაგრამ საიდანაც ჟლენტი გამოხტა და დარსაძეს ბურთი წაართვა. მართალია, ლიდერთა შეტევა უშედეგოდ დასრულდა, მაგრამ რამდენიმე წამი მოგებული იყო. დამთავრებამდე 21 წამით ადრე თორთლაძემ მაისურაძეს გააგდებინა ბურთი ხელიდან. მისმა მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო, რომლის დასრულებისთანავე დარსაძე ნაცვლიშვილს უხეშად ეთამაშა და კაქტუსელმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო. „დინამო" სამქულიანის იმედად რჩებოდა, მაგრამ ჩხეიძემ არ დაანება — ბურთი ჩაჭრა და ექვსეულის თამაშების ბოლო ბურთი ჟლენტს ასროლინა. ანგარიში აღარ შეცვლილა.

ნიკა ჯანდიერი

### „სარბიელის" ნაკრები

### ექვსეულის მეორე წრის მიხედვით



დავით თორთლაძე
კაქტუსი

თამაში: 4, ქულა: 46,
საშუალოდ: 11,5;
სამქულიანი: 6;
საჯარიმო: 6/6 100 %



გია სანაძე
ვითა

თამაში: 2, ქულა: 35,
საშუალოდ: 17,5;
სამქულიანი: 6;
საჯარიმო: 1/1 100 %



ლევან ქარაბაკი
დინამო

თამაში: 5, ქულა: 101,
საშუალოდ: 20,2;
სამქულიანი: 5;
საჯარიმო: 14/12 85,7 %



ვასილ ოთიურიძე
კაქტუსი

თამაში: 4, ქულა: 60,
საშუალოდ: 15,0;
სამქულიანი: 0;
საჯარიმო: 13/6 46,1 %



ვახტანგ ნაცვლიშვილი
კაქტუსი

თამაში: 4, ქულა: 74,
საშუალოდ: 18,5;
სამქულიანი: 6;
საჯარიმო: 7/5 71,4 %





# დღეს განახლდება

დიდი, ზედმეტადაც კი გაგრძელებული ოთხთვიანი შესვენების შემდეგ დღეს განახლდება ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი. ეს გაჭიანურებული ანტრაქტი გამოწვეული იყო ჩვენი ნაკრების მონაწილეობით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. თებერვალ-აპრილში გუნდმა ექვსი შეხვედრა გამართა ლიტვის, იტალიისა და ფინეთის ნაკრებებთან. როგორც უკვე ვიუწყებოდით, უსახსრობის გამო ჩვენებმა ექვსივე მატჩი სტუმრად ითამაშეს. მართალია, ყველა წავაგეთ და არც ჯგუფში მოწინავე პოზიციაზე გვქონია პრეტენზია, მაგრამ თითო შეხვედრა თბილისში რომ ჩაგვეტარებინა, ერთიორს მაინც მოვიგებდითო, ირწმუნებიან ნაკრების ხელმძღვანელებიც და თავად სპორტსმენებიც. საამისო საბაბს კი თუნდაც ანგარიშების გაცნობა გვაძლევს: იტალიელებთან თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ მხოლოდ მატჩის მიწურულს დავმარცხდით, ფინეთში კი პირველი თამაში სამით, მეორე — მხოლოდ ერთი ბურთით დავთმეთ. ასეა თუ ისე, წინა გათამაშების მსგავსად, ვერც ამჯერად მოვიპოვეთ თუნდაც ერთი ქულა, ასე რომ, მთავარია მონაწილეობაო, ამითღა შეგვიძლია თავის დამშვიდება. თუმცაღა, არც ის გახლავთ უმნიშვნელო გარემოება, რომ ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში ჩვენი მოთამაშეები აუცილებელ სამომავლო გამოცდილებას იძენენ. ეს კი უკვე წელსვე გამოადგებათ ევროთასების საშემოდგომო მატჩებში.

ნაკრებში მწვრთნელებმა (გია ნარიმანიძე, ზაზა დოლიძე, მერაბ მეტრეველი) 19 მოთამაშე გამოსცადეს. ყველა ექვსივე შეხვედრა ჩაატარა ექვსმა — ირაკლი კენჭაძემ, ირაკლი კეკელიძემ, ვახტანგ მეიფარიანმა, ბექა ორჯონიკიძემ, ტიტე კალანდაძემ და რომან სივოპლიასოვმა. ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს ორჯონიკიძემ — 32 და კალანდაძემ — 21.

საქართველო — ლიტვა 9:22, საქართველო — ლიტვა 16:22, საქართველო — იტალია 15:22, საქართველო — იტალია 16:22, საქართველო — ფინეთი 24:27, საქართველო — ფინეთი 27:28

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 5 | 0 | 1 | 132:110 | 10 |
| იტალია | 4 | 0 | 2 | 124:106 | 8 |
| ფინეთი | 3 | 0 | 3 | 137:141 | 6 |
| საქართველო | 0 | 0 | 6 | 107:143 | 0 |

ახლა კვლავ შინაურ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. მესამე წრის თამაშები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტდარბაზში გაიმართება და ყოველდღე 12 საათზე დაიწყება.

უკვე პირველივე ტურში, ანუ დღესვე, ერთ-ერთი მთავარი მატჩია: სამტრედიის „მიმი" — საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული". გამარჯვების შემთხვევაში „მიმი" თითქმის გაინაღდებს მეორე ადგილს, მამულელთა მოგებით კი ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდება. [illegible] მაში 13 საათსა და 20 წუთზე დაიწყება.

სატურნირო მდგომარეობა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 9 | 9 | 0 | 0 | 270:194 | 18 |
| მიმი | 9 | 6 | 1 | 2 | 262:204 | 13 |
| მამული | 8 | 4 | 1 | 3 | 236:239 | 9 |
| ამირანი | 8 | 3 | 0 | 5 | 231:229 | 6 |
| ოქროს ვერძი | 5 | 1 | 0 | 4 | 141:164 | 2 |
| მართვე | 9 | 0 | 0 | 9 | 186:296 | 0 |

ბომბარდირთა ათეული:

ტიტე კალანდაძე (მიმი) 71
ბექა ორჯონიკიძე (სტუ) 61
ზაზა გაბრიჩიძე (მამული) 58
მიხეილ კერესელიძე (მიმი) 51
ზვიად შათირიშვილი (ოქროს ვერძი) 45
გიორგი გვაზავა (მართვე) 42
სერგო აირაპეტიანი (მართვე) 41
ელიზბარ არსენაშვილი (მამული) 40
კობა თორდია (ამირანი) 40
ირაკლი ხურციძე (ამირანი) 40

მესამე წრის თამაშების განრიგი
(სტუ-ს სპორტდარბაზი)

26 აპრილი: სტუ — მართვე, მამული — მიმი, ამირანი — ოქროს ვერძი (ფოთი)

27 აპრილი: მართვე — ამირანი, ოქროს ვერძი — მამული, მიმი — სტუ

29 აპრილი: მართვე — მიმი, ამირანი — მამული, სტუ — ოქროს ვერძი

30 აპრილი: ოქროს ვერძი — მართვე, ამირანი — მიმი, მამული — სტუ

1 მაისი: მიმი — ოქროს ვერძი, მამული — მართვე, სტუ — ამირანი



# ლეილა რომ ყოფილიყო...

ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში ჩატარდა ჩოგბურთელ ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის — ფედერაციის თასის პირველი ჯგუფის ტურნირი. როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ნაკრები ფეხნატკენ ლეილა მესხის გარეშე ასპარეზობდა. ულიდეროდ დარჩენილი ნინო ლუარსაბიშვილი, რომელმაც ბოლო დროს მნიშვნელოვნად აიმაღლა რეიტინგი და ამჟამად მსოფლიოში 136-ეა და ირინე ბახტაძე ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ სასურველ შედეგს (ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილი) ვერ მიაღწიეს.

ალიკანტეში გუნდების ხელახალი წილისყრა მოეწყო და ჩვენებს მეტოქეებად უნგრეთის, უკრაინისა და რუსეთის ნაკრებები ერგო. უნგრელთა მეორე ნომერს ანდრეა ნოსზალს ესპანეთში ჩასვლა დააგვიანდა, რის გამოც მათთან შეხვედრაში მოგება (3:0) ჩაგვითვალეს. უკრაინელებთან კი დავწინაურდით — ლუარსაბიშვილმა ოლია ლუგინას სძლია — 6:3, 6:2, მაგრამ ბახტაძე დამარცხდა ტატიანა ბეიკოსთან — 2:6, 1:6. მერე წყვილთა შეხვედრაც წავაგეთ და საბოლოოდ მთელი მატჩიც — 1:2.

ბოლო შეხვედრა ჩვენებს რუსეთის ნაკრებთან ჰქონდათ. ნინო დამარცხდა ევგენია მანიუკოვასთან — 6:3, 2:6, 2:6, ირინა ოლია ივანოვასთან — 3:6, 1:6. საბოლოოდ 0:3 წავაგეთ და ქვეჯგუფში მესამე ადგილზე დავრჩით. პირველი იყო უნგრეთის, მეორე კი რუსეთის გუნდი. მათ გააგრძელეს ბრძოლა სხვა სამ ქვეჯგუფში უძლიერესებთან ერთად „მსოფლიო ჯგუფში" გადასასვლელად, საქართველო კი გაისადაც იმავე პირველ ჯგუფში გამოვა.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| | ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, | a - სტუმრად | 1 | X | 2 | I ნრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

### იტალია. 29-ე ტური. 29-30 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | I ნრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29.04 | BRESCIA - | PARMA | 6,0 | 4,0 | 1,1 | 0-4 | -/- | 0-1/0-2 |
| | a 0-3 Bari | h 3-0 Inter | | | | | | |
| | a 0-3 Roma | a 0-0 Foggia | | | | | | |
| | FIORENTINA - | JUVENTUS | 2,0 | 2,4 | 2,6 | 2-3 | -/- | 2-0/0-3 |
| | a 2-2 Sampdoria | h 0-1 Padova | | | | | | |
| | h 4-0 Napoli | a 2-1 Reggiana | | | | | | |
| 30.04 | FOGGIA - | BARI | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-2 | -/- | -/- |
| | a 1-2 Napoli | h 3-0 Brescia | | | | | | |
| | h 0-0 Parma | a 0-0 Cremonese | | | | | | |
| | GENOA - | SAMPDORIA | 1,6 | 2,6 | 3,6 | 2-3 | 1-1/1-1 | 0-0/1-4 |
| | a 1-4 Cremonese | h 2-2 Fiorentina | | | | | | |
| | h 1-1 Cagliari | a 0-0 Torino | | | | | | |
| | INTER - | CREMONESE | 1,2 | 3,0 | 6,5 | 1-0 | 2-1/4-1 | -/- |
| | a 0-3 Parma | h 4-1 Genoa | | | | | | |
| | h 3-1 Milan | h 0-0 Bari | | | | | | |
| | LAZIO - | CAGLIARI | 1,3 | 3,0 | 5,0 | 1-1 | 4-0/1-4 | 1-2/1-1 |
| | a 2-0 Roma | h 4-2 Reggiana | | | | | | |
| | a 0-2 Padova | a 1-1 Genoa | | | | | | |
| | PADOVA - | ROMA | 2,0 | 2,5 | 2,5 | 0-2 | -/- | -/- |
| | a 1-0 Juventus | h 0-2 Lazio | | | | | | |
| | h 2-0 Lazio | h 3-0 Brescia | | | | | | |
| | REGGIANA - | MILAN | 6,0 | 4,0 | 1,1 | 1-2 | 0-1/1-0 | -/- |
| | a 2-4 Cagliari | h 5-1 Torino | | | | | | |
| | h 1-2 Juventus | a 1-3 Inter | | | | | | |
| | TORINO - | NAPOLI | 1,5 | 2,5 | 4,4 | 1-1 | 1-1/0-0 | 0-1/1-1 |
| | a 1-5 Milan | h 2-1 Foggia | | | | | | |
| | h 0-0 Sampdoria | a 0-4 Fiorentina | | | | | | |

### ესპანეთი. 31-ე ტური. 29-30 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | I ნრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ATLETICO - | ALBACETE | 1,4 | 2,6 | 5,0 | 2-2 | 0-0/2-2 | 3-2/1-2 |
| | a 0-0 Logrones | h 0-3 Zaragoza | | | | | | |
| | h 0-2 Real | a 0-0 Compostela | | | | | | |
| | VALENCIA - | LOGRONES | 1,05 | 3,5 | 12,0 | 2-2 | 3-1/0-2 | 2-1/2-3 |
| | a 1-3 Real | h 0-0 Atletico | | | | | | |
| | h 2-1 Betis | a 0-3 Zaragoza | | | | | | |
| | ZARAGOZA - | ATHLETIC | 1,3 | 3,0 | 5,0 | 0-1 | 1-0/1-2 | 0-3/2-3 |
| | a 3-0 Albacete | h 1-0 Compostela | | | | | | |
| | h 3-0 Logrones | a 1-3 Espanol | | | | | | |
| | TENERIFE - | REAL | 1,8 | 2,5 | 3,0 | 2-4 | 0-0/1-1 | 2-0/0-3 |
| | a 0-3 Betis | h 3-1 Valencia | | | | | | |
| | h 3-0 Celta | a 2-0 Atletico | | | | | | |
| | COMPOSTELA - | SPORTING | 1,8 | 2,5 | 3,0 | 1-1 | -/- | -/- |
| | a 0-1 Athletic | h 0-0 Espanol | | | | | | |
| | h 0-0 Albacete | a 0-0 Racing | | | | | | |
| | R. SOCIEDAD - | BETIS | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-0 | -/- | -/- |
| | a 1-2 Celta | h 3-0 Tenerife | | | | | | |
| | h 1-3 Deportivo | a 1-2 Valencia | | | | | | |
| | ESPANOL - | RACING | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-0 | -/- | -/- |
| | a 0-0 Sporting | h 0-3 Sevilla | | | | | | |
| | h 3-1 Athletic | h 0-0 Sporting | | | | | | |
| | OVIEDO - | CELTA | 1,4 | 2,7 | 4,7 | 0-0 | 1-0/1-1 | 3-1/0-0 |
| | a 2-2 Deportivo | h 2-1 Sociedad | | | | | | |
| | h 0-0 Barcelona | a 0-3 Tenerife | | | | | | |
| | VALLADOLID - | DEPORTIVO | 6,0 | 4,0 | 1,1 | 0-4 | 0-0/0-0 | -/- |
| | a 1-4 Barcelona | h 2-2 Oviedo | | | | | | |
| | a 0-1 Sevilla | a 3-1 Sociedad | | | | | | |
| | SEVILLA - | BARCELONA | 1,4 | 3,0 | 4,0 | 1-0 | 0-0/2-5 | 0-0/1-2 |
| | a 3-0 Racing | h 4-1 Valladolid | | | | | | |
| | h 1-0 Valladolid | a 0-0 Oviedo | | | | | | |

### გერმანია. 28-ე ტური. 28-30 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | I ნრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28.04 | KOLN - | FREIBURG | 1,6 | 3,0 | 3,0 | 2-4 | 2-0/4-2 | - |
| | a 0-1 Bochum | h 1-1 Munchen 1860 | | | | | | |
| | h 1-1 Werder | a 2-1 Hamburger SV | | | | | | |
| | HAMBURGER SV - | DUISBURG | 1,4 | 2,8 | 4,4 | 5-0 | 0-1/1-0 | - |
| | a 1-2 Borussia M | a 0-2 B. Leverkusen | | | | | | |
| | h 1-2 Freiburg | h 0-2 Borussia M | | | | | | |
| 29.04 | SCHALKE 04 - | B. LEVERKUSEN | 1,6 | 2,6 | 3,6 | 2-2 | 1-1/1-5 | 2-1/1-6 |
| | h 2-0 B. Uerdingen | h 2-0 Duisburg | | | | | | |
| | a 1-1 Stuttgart | a 1-0 B. Uerdingen | | | | | | |
| | B. UERDINGEN - | KARLSRUHER SC | 2,3 | 2,4 | 2,3 | 1-2 | - | 1-1/0-4 |
| | a 0-2 Schalke 04 | h 3-1 Stuttgart | | | | | | |
| | h 0-1 B. Leverkusen | a 1-2 Borussia D | | | | | | |
| | KAISERSLAUTERN - | BOCHUM | 1,1 | 3,2 | 8,0 | 2-0 | -/- | 3-1/3-1 |
| | a 2-2 Werder | h 1-0 Koln | | | | | | |
| | h 3-1 Dynamo | a 0-4 Munchen 1860 | | | | | | |
| | BORUSSIA D - | DYNAMO | 1,05 | 3,5 | 12,0 | 1-0 | 4-0/0-3 | 3-0/0-3 |
| | a 1-2 Bayern | h 1-2 Eintracht | | | | | | |
| | h 2-1 Karlsruher SC | a 1-3 Kaiserslautern | | | | | | |
| | STUTTGART - | BAYERN | 2,5 | 2,5 | 2,0 | 2-2 | 2-2/3-1 | 2-3/3-5 |
| | a 1-3 Karlsruher SC | h 2-1 Borussia D | | | | | | |
| | h 1-1 Schalke 04 | a 5-2 Eintracht | | | | | | |
| | MUNCHEN 1860 - | BORUSSIA M | 2,4 | 2,4 | 2,2 | 0-2 | -/- | -/- |
| | a 1-1 Freiburg | h 2-1 Hamburger SV | | | | | | |
| | h 4-0 Bochum | a 2-0 Duisburg | | | | | | |
| 30.04 | EINTRACHT - | WERDER | 3,2 | 2,8 | 1,6 | 0-2 | 2-2/0-1 | 3-0/0-0 |
| | a 2-1 Dynamo | h 2-2 Kaiserslautern | | | | | | |
| | h 2-5 Bayern | a 1-1 Koln | | | | | | |

### ინგლისი. 40-ე ტური. 29 აპრილი

| | | 1 | X | 2 | I ნრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ARSENAL - | TOTTENHAM | 2,4 | 2,4 | 2,2 | 0-1 | 1-1/1-0 | 1-3/0-1 |
| MANCHESTER C - | NEWCASTLE | 1,6 | 3,0 | 3,0 | 0-0 | 2-1/0-2 | -/- |
| CHELSEA - | QPR | 1,6 | 3,0 | 3,0 | 0-1 | 2-0/1-1 | 1-0/1-1 |
| NORWICH - | LIVERPOOL | 2,4 | 2,6 | 2,0 | 0-4 | 2-2/1-0 | 1-0/1-4 |
| COVENTRY - | MANCHESTER U | 4,4 | 3,2 | 1,3 | 0-2 | 0-1/0-0 | 0-1/0-5 |
| CRYSTAL PALACE - | NOTTINGHAM | 2,0 | 2,5 | 2,5 | 0-1 | -/- | 1-1/1-1 |
| EVERTON - | WIMBLEDON | 1,2 | 3,0 | 6,5 | 1-2 | 3-2/1-1 | 0-0/3-1 |
| LEICESTER - | IPSWICH | 1,8 | 2,5 | 3,0 | 1-4 | -/- | -/- |
| SOUTHAMPTON - | SHEFFIELD W | 1,5 | 2,7 | 4,0 | 1-1 | 1-1/0-2 | 1-2/2-5 |
| WEST HAM - | BLACKBURN | 3,2 | 2,8 | 1,6 | 2-4 | 1-2/2-0 | -/- |
| LEEDS - | ASTON VILLA | 1,3 | 3,2 | 4,4 | 0-0 | 2-0/0-1 | 1-1/1-1 |

### პორტუგალია. 30-ე ტური. 30 აპრილი

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| BENFICA - | SPORTING | 2,8 | 2,6 | 1,8 |

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს 13-დან 16 საათამდე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | | 3-0 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 | 4-1 | | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | | 0-1 | | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | | 2-3 | | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | | 1-3 | | 1-0 | 0-0 | 0-1 | 1-4 | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | | 1-1 | 1-1 | | | 2-0 | 4-2 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | 0-0 | 0-0 | 2-0 | | 0-0 | 1-3 | 4-1 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | | | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | | 1-1 | 3-1 | 2-2 | | 2-2 | 4-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | | |
| 6 | AC FOGGIA | | 3-1 | 2-0 | 0-1 | | | 2-1 | 1-1 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 4-1 | 0-0 | 1-0 | 0-1 | | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 1-1 | | | | 1-1 | 2-1 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 1-2 | | |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | | 5-0 | 2-1 | 2-2 | 1-1 | 3-2 | | 0-3 | | 0-0 | 5-0 | 3-1 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | | 2-1 | 5-1 | 0-2 |
| 10 | INTER MILANO | 1-2 | 1-0 | | | 3-1 | 3-0 | 2-0 | 2-0 | 3-1 | | 0-2 | | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | 2-1 | 1-0 | 2-0 | | | | 3-3 | | 1-0 | 0-0 | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | | 0-3 | | | 2-0 | 4-2 | 1-2 |
| 13 | AC PARMA | | 4-0 | 2-1 | 2-0 | | 2-0 | | 3-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-0 | | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-1 | | 0-1 | 0-2 | | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | | 1-4 | 0-0 | 1-0 | 1-2 |
| 15 | AS ROMA | 2-0 | 3-0 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | | 0-2 | 1-1 | |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | | | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | | 4-0 | | 5-1 | 5-1 | 2-2 | 2-0 | 0-3 | | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | | 2-0 | 0-2 | | 2-2 | 2-0 | | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | | 3-1 | 3-0 | | 1-2 | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-3 | | 3-1 | 1-1 | 2-1 | | | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | | 0-0 | 3-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | | | | 0-0 | | 0-0 | | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | | 3-0 | | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | 4-1 | |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | | | 1-0 | 2-0 | 0-2 | 1-0 | | 1-1 | | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 0-0 | | 1-2 | 0-1 | | | 0-1 | 2-0 | | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | | | 1-1 | 3-0 | 1-1 | | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | | 0-0 | 1-0 | 2-1 | | | 0-1 | 0-0 | 2-2 | 3-0 | 3-3 | 3-1 | | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | | 0-0 | 1-4 | | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO DE MADRID | | | 2-0 | 2-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | | 0-2 | 3-3 | 0-1 | | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | | 2-0 | 4-2 | | 2-0 | 3-1 | 3-0 | | | 2-0 | 4-2 | 3-1 | | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | | 3-0 | 0-0 | 1-1 | 2-2 | | 2-0 | 1-0 | 1-0 | | | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | | 0-0 | 1-2 | 3-0 | | 3-1 | | | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | | | 3-2 | 1-0 | 3-0 | 3-1 | 3-2 | 2-1 | | | 1-1 | 3-0 | | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | | 1-1 | 2-2 | 1-3 | | 3-1 | 1-1 | 3-1 | | 1-2 | | | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | | 2-0 | 0-1 | 0-0 | | | 3-0 | 1-1 | 1-2 | |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | | 0-0 | 3-0 | 5-1 | | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | | 1-2 | 1-1 | 1-0 | |
| 17 | CD TENERIFE | | | 2-1 | 1-0 | 2-0 | | 1-1 | 4-0 | 1-0 | | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | | 1-2 | 0-0 | 3-0 |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | | | 0-0 | 1-2 | | 0-0 | 1-2 | 1-0 | | 3-0 | 4-2 | 2-1 | 0-1 | 2-1 | | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | | 2-0 | 2-0 | | | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | | 0-4 | 1-4 | 2-0 | | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | 0-1 | 1-0 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | | | 2-2 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | | | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | 2-2 | | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | 2-0 | | | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 2-1 | 2-1 | 0-3 | | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | 3-1 |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | | 4-2 | 1-2 | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | | 1-1 | | | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | | 1-1 | | 1-0 | 1-2 | 0-5 | | 0-0 | 1-3 | 0-2 | 0-2 | 0-3 | | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | | 4-1 | 2-0 | | | | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 2-5 | | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | | 3-1 | 3-0 | 2-0 | | 3-0 | | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | | | 1-2 | | 0-0 | 3-1 | | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | 1-1 | 1-0 | 3-1 | 1-0 | 1-1 | 3-2 | | | 0-0 | | 1-0 | | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | | 0-0 | | 2-4 | 2-2 | 3-1 | | 3-1 | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | 1-1 | 1-6 | 1-2 | | 3-0 | | 1-1 | 0-1 | 3-4 | | | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | 2-0 | 4-0 | 2-4 | | 0-1 | 0-0 | 3-1 | | 3-1 | | | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | | 1-2 | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 3-3 | | 2-2 | 2-0 | 0-1 | | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | 2-1 | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-2 | 2-1 | 3-0 | | 1-0 | 2-0 | 2-2 | |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 4-0 | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | | | 1-0 | | 1-1 | | 1-3 | | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | | 1-1 | | 6-2 | | 1-1 | 2-0 |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | | 0-0 | 4-2 | | 4-1 | | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | | 1-1 | 1-1 | | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | | 1-3 | 0-2 | | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | | 0-0 | 0-1 | | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | | 0-0 | 0-0 | 3-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 4-1 | 1-3 | 1-1 | | 3-0 | 0-0 | 2-3 | 5-1 | 1-0 | 1-3 | 0-0 | 1-1 | | 0-1 | |
| 2 | ASTON VILLA | 0-4 | | 0-1 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-0 | 4-4 | | | 1-2 | 0-2 | 1-1 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 0-2 | 7-1 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | 3-1 | 3-1 | | 2-1 | 4-0 | 2-1 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-0 | 3-2 | 2-3 | 2-4 | | 0-0 | 3-0 | 4-0 | 3-1 | 3-2 | 2-0 | 4-2 | 2-1 |
| 4 | FC CHELSEA | | 1-0 | 1-2 | | 2-2 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 0-3 | 4-0 | 0-0 | 3-0 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 0-2 | | 1-1 | | 1-1 | 1-2 | 1-1 |
| 5 | COVENTRY CITY | 0-1 | 0-1 | 1-1 | 2-2 | | 1-4 | | 2-0 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 1-3 | 0-4 | 2-0 | 1-1 |
| 6 | CRYSTAL PALACE | 0-3 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 0-2 | | 1-0 | 3-0 | 1-2 | 2-0 | 1-6 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-1 | | 0-0 | 2--1 | 0-0 | 1-1 | | 0-0 |
| 7 | FC EVERTON | 1-1 | 2-2 | 1-2 | | 0-2 | 3-1 | | 4-1 | 3-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-2 | 1-4 | | 0-0 | 1-0 | |
| 8 | IPSWICH TOWN | 0-2 | 0-1 | 1-3 | 2-2 | | 0-2 | | | 2-0 | 4-1 | 1-3 | 1-2 | 3-2 | 0-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | 1-2 | 2-1 | 1-3 | 1-1 | 2-2 |
| 9 | LEEDS UNITED | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 3-0 | | 1-0 | 4-0 | | 2-1 | 0-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | | 1-0 | 4-0 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | 3-1 |
| 10 | LEICESTER CITY | 2-1 | 1-1 | 0-0 | | 2-2 | 0-1 | 2-2 | | 1-3 | | 1-2 | 0-1 | 0-4 | 1-3 | 1-0 | 2-4 | 1-1 | 0-1 | 4-3 | 3-1 | 1-2 | 3-4 |
| 11 | FC LIVERPOOL | 3-0 | 3-2 | | 3-1 | 2-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 2-0 | | 2-0 | 2-0 | 2-0 | 4-0 | 1-0 | 1-1 | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 12 | MANCHESTER CITY | 1-2 | 2-2 | 1-3 | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 2-1 | | 0-3 | | 2-0 | 3-3 | | 3-2 | 3-3 | 5-2 | 3-0 | 2-0 |
| 13 | MANCHESTER UNITED | 3-0 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 3-0 | 2-0 | 9-0 | 0-0 | 1-1 | 2-0 | 5-0 | | 2-0 | 1-0 | 1-2 | 2-0 | | | 0-0 | 1-0 | 3-0 |
| 14 | NEWCASTLE UNITED | 1-0 | 3-1 | 1-1 | 4-2 | 4-0 | | 2-0 | 1-1 | 1-2 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-1 | | 3-0 | 2-1 | 2-1 | 2-1 | 5-1 | | 2-0 | 2-1 |
| 15 | NORWICH CITY | 0-0 | | 2-1 | 3-0 | 2-2 | 0-0 | 0-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | | 1-1 | 0-2 | 2-1 | | | 4-2 | 0-0 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-2 |
| 16 | NOTTINGHAM FOREST | 2-2 | 1-2 | 0-2 | 0-1 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 4-1 | 3-0 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | 1-0 | | 3-2 | 4-1 | 3-0 | 2-2 | 1-1 | 3-1 |
| 17 | QUEEN'S PARK RANGERS | 3-1 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 2-3 | 1-2 | 3-2 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | | 3-2 | 2-2 | | 2-1 | 0-1 |
| 18 | SHEFFIELD WEDNESDAY | 3-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 5-1 | 1-0 | 0-0 | | 1-1 | 1-0 | 1-2 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 1-7 | 0-2 | | 1-1 | 3-4 | 1-0 | 0-1 |
| 19 | FC SOUTHAMPTON | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 2-0 | 3-1 | 1-3 | | 0-2 | 2-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | | | 4-3 | 1-1 | 2-3 |
| 20 | TOTTENHAM HOTSPUR | 1-0 | 3-4 | 3-1 | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 3-0 | | 1-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 4-2 | 1-0 | 1-4 | 1-1 | 3-1 | 1-2 | | 3-1 | 1-2 |
| 21 | WEST HAM UNITED | 0-2 | 1-0 | | 1-2 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | | 3-0 | | 1-3 | 2-2 | 3-1 | | 0-2 | 2-0 | 1-2 | | 3-0 |
| 22 | FC WIMBLEDON | 1-3 | 4-3 | 0-3 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | | 2-0 | 0-1 | 3-2 | 1-0 | | 1-3 | 0-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | |

**ნინა კვირაში**

**სამშაბათი, 18.IV**

როტორუა (ახალი ზელანდია). ჩრდილოეთი კუნძული — კანადა 35:40

**შაბათი, 22.IV**

ოქლენდი. მხოლო ტესტი. ახალი ზელანდია 73 (30) (10ლ: №12 ბანსი - 2, №9 გ. ბეშოფი, №11 ელისი - 2, №10 მერთონსი, №15 ოზბორნი - 2, №1 ბრაუნი, №14 ვილსონი; 10გ და ს: მერთონსი) — კანადა 7 (0) (ლ: №13 სთიუართი; გ: №10 როსი)

ედინბურგი. შოტლანდია 49 (19) (7ლ, 4გ, 2ს) — რუმინეთი 16 (16) (ლ, გ, 3 გოლი)

კანბერა (ავსტრალია). დედაქალაქის ოლქი 33 (18) — არგენტინა 16 (13)

იოჰანესბურგი (სამხრეთი აფრიკა). ტრანსვაალი 12 (0ლ) — სამოა 13 (ლ)

უელსის თასის ნახევარფინალები. სვონზი — კარდიფი 16:9 (9:9, დ.დ.); პონტიპრიზი — პლანეპლი 20:14

მსოფლიო თასის დაწყებამდე ზუსტად ერთი თვე რჩება. მონაწილენი ბოლო მოსამზადებელ მატჩებს მართავენ. რაგბის საერთაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებით, 8 მაისიდან ვიდრე ჩემპიონატის გახსნამდე, ანუ 25 მაისამდე საერთაშორისო თამაშების გამართვას ყადაღა დაედება.

**კანადამ** მარცხიანად დაასრულა ზღვისრეთული მინი-ტურნე. გამართლდა მისი მწვრთნელი იან ბირთველის შიში — ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსმა" სტუმრები 15 ათასი ქომაგის თვალწინ გაანადგურა და დაუმტკიცა, რომ ზელანდიელთა რანგის გუნდებთან — ავსტრალიასთან და სამხრეთ აფრიკასთან „ა" ქვეჯგუფში წარმატების იოტისოდენა შანსიც ვერ ექნება.

ოქლენდის ტესტში „ოლ ბლექსმა" სამი ახალბედა გამოიყვანა: ჩრდილოეთი ნავსაყუდელის მცველი გლენ ოზბორნი, ქენთებრის გარე ნახევარმცველი ენდი მერთონსი და ოთაგოს ფრთის მორკინალი ჯოშ კრონფილდი, ვინც მუხლმტკივანი მაიქლ ჯოუნზის მაგივრად ათამაშეს. ნდობა სამივემ გაამართლა, 21 წლის მერთონსმა კი ისე დინჯად ითამაშა, თითქოს ტესტ-რაგბში ჰქონოდა ჭიპი მოჭრილი. მან თავიდანვე მოთოკა ნერვები და საწყისი ექვსი დარტყმიდან ექვსი გოლი გაიტანა, მეორე ტაიმში კი ვილსონს კარგად მიჰყვა და მისგან მიღებული ბურთით მშვენიერი ლელოც გაიტანა. სულ იმ დღეს ზელანდიელთა ახალმა 10 ნომერმა 28 ქულა მოაგროვა, რაც ტესტ-დებიუტის ახალი მსოფლიო რეკორდია. ძველი მიღწევაც ზელანდიელს — მ. ქუპერს ეკუთვნოდა: ამან 1992 წელს ირლანდიას 23 ქულა გაუტანა.

კანადა რაგბის ყველა ასპექტში ჩამორჩა მასპინძლებს, დერეფანი კი პირწმინდად წაავო იან ჯოუნზთან და რობინ ბრუქთან. 73-ე წუთზე სტუმრები 0:73 აგებდნენ, მაგრამ მერე სამხრეთი აფრიკის დას. კონცხის კანადელმა ქრის სთიუართმა გადაცემა ჩაჭრა და გაიტანა პრესტიჟის ლელო, რომელიც გარდასახა ბობ როსმა. ამისმა კარში დარტყმებმა იმდენად მოხიბლა მწვრთნელები, რომ ტესტში 10 ნომრად ათამაშეს, უცილო 10 ნომერი და მთავარი ტაქტიკოსი გარეს რიისი კი პირველ შუამარბად (12 ნომრად) გადაიყვანეს.

**არგენტინამაც** მარცხიანად დაიწყო ავსტრალიური მინი-ტურნე. „პუმები" პირველსავე მატჩში დამარცხდნენ კანბერელ „კუკაბურებთან", რომელთა მულატი 9 ნომერი ჯორჯ გრეგანი შარშანდელი სეზონის აღმოჩენა და ქვეყნის ნაკრებ „ვოლაბების" დიდი იმედია. ამბობენ, ავსტრალიელებმა ბოლოსდაბოლოს იპოვეს შერკინების ნახევარმცველი, დიდებულ ნიქ ფარჯოუნზს რომ შეცვლის და „ვოლაბებს" მსოფლიო თასს შეანარჩუნებინებსო.

# ჰეისთინგსი მიდის, მერთონსი მოსულა, ჯოუნზი კი ისევ უარზეა



ავსტრალიის დედაქალაქის „მანუკა ოვალზე" (ოვალი იმის მიმანიშნებელია, რომ ეს სტადიონი იმავდროულად კრიკეტის ასპარეზიცაა) საზოგადოებრიობამ დაშხოშიანი ჩხუბი იხილა: მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, მასპინძელთა ლელოსთან გუნდები რომ შეიბნენ და რაკიღა გასაქანი ვერ ეყოთ, სარეკლამო ფარებს გადაახტნენ და მუშტი-კრივი ხალხში განაგრძეს. მსაჯმა სქოთ იანგმა მოკრივეები მოედანზე რომ დააბრუნა, არგენტინელთა ვეტერანი შუამარბი დიეგო კვესტასილვა გააძევა. მას ტურნეს ბოლომდე დისკვალიფიკაციას მიუსჯიან და „პუმებსაც" გუნდი აერევათ.

ჩხუბამდე სტუმრები ხუთ ქულას აგებდნენ, 14 კაცის ამარად დარჩენილები კი საბოლოოდ 17 ქულით დამარცხდნენ. ხუთმატჩიანი ტურნეს ორ მომდევნო უქმეზე არგენტინელებს ტესტები ელით: 30



მაიქლ ჯოუნზი

აპრილს ბრისბენში ეთამაშებიან „ვოლაბებს", 6 მაისს — სიდნეიში. ორივე თამაშს უეჭველად გადმოსცემს ჰონკონგური **Star TV**, რომელმაც საქართველოს მსოფლიო თასიც უნდა აყურებინოს. ეს თანამგზავრული ტელეარხი ჩვენი რაგბის კავშირისაგან დამოუკიდებლად ახლახანს დაუჭერია საბურთალოურ „**მეშვიდე არხს**", რომელიც რაგბსა და მისთანა ეგზოტიკურ სპორტებს კაბელით შეუფერხებლივ აწვდის ბახტრიონის, დოლიძის, საბურთალოს, მიცკევიჩისა და მეზობელი ქუჩების აბონენტებს.

**მანუ სამოა** კარგა ხანია მომავალი შეჯიბრის ადგილზე — სამხრეთ აფრიკაშია. ზღვისრეთელები „ქურციკებთან" 8:60 წაგების შემდეგ იქაური ვიდეოგამქირავებელი კომპანიის — „სუპერსპორტის" მიერ მოწყობილ სერიალში ჩაებნენ და ნახევარფინალში ერთი ქულით დაამარცხეს ტრანსვაალი. მატჩის ერთადერთი ლელო სამოელ ჯორჯ ჰარდერს გაუტანია.

**შოტლანდიის** ნაკრების 33 წლის კაპიტანმა და მცველმა გევინ ჰეისთინგსმა ხუთშაბათს გამოაცხადა, რომ მსოფლიო თასის შემდეგ საერთაშორისო რაგბს თავს დაანებებს. გევინი აღარც ედინბურგის ნაკრებში ითამაშებს, მაგრამ მშობლიურ კლუბ „ვოთსონიანსში" მაინც დარჩება.

ჰეისთინგსს (**ზედა ფოტოზე**), რომელიც ერთობ საიმედო მცველი და მწვავე მოიერიშეა, 1986 წლიდან მოყოლებული წინა შაბათამდე თავისი ქვეყნის ნაკრებში 56 ტესტი ეთამაშა და 544 ქულა მოეგროვებინა, „ბრიტანელ ლომებს" კი ავსტრალაზიაში ორ ტურნეზე ხლებოდა და 66 ქულა მოეხვეჭა. შოტლანდიური რაგბის ტაძარ მარიფილდში დიდი რაგბიდან გევინის გაცილება დაემთხვა რუმინეთთან თამაშს, რომელიც სქოთებმა ერთობ დამაჯერებლად მოიგეს.

იუბილარმა მე-2 წუთზევე გაიტანა ლელო, მერეც კარგად ურტყა კარში, სულ 19 ქულაც მოაგროვა, მაგრამ თამაშის მიწურულს დაშავდა და უმცროსმა ძმამ — სქოთმა შეცვალა. გევინი მოედნიდან ტაშით გააცილეს. მატჩი რომ დასრულდა, კაპიტანი დაბრუნდა და თავისი წილი აპლოდისმენტები მეორედაც მიითვალა.

**უელსის** ნაკრების ახალმა უფროსობამ მსოფლიო თასზე წასაყვანი 26 კაცის სია გამოაქვეყნა. მასში ერთბაშად შვიდი ახალბედა კია, მაგრამ „კარდიფის" მულატი გარემარბის — ნაიჯელ ვოქერისათვის ადგილი ვერ მოინახა. ეს ვოქერი ბოლო დროს დაშავებული იყო, ისე კი ოლიმპიური თამაშების მონაწილეა თარჯრბენში.

ნაკრების ახალმა მწვრთნელმა, ავსტრალიელმა ალექს ევანსმა დებიუტანტთა სიმრავლე მარტივად ახსნა — ჩემი მშობლიური ავსტრალიის ნაკრებშიც ბევრი ახალბედაა ხოლმე, მაგრამ პასუხისმგებლობას რომ იგრძნობენ, გაათკეცებული ძალით თამაშობენ და სწრაფად იზრდებიანო.

ამასობაში, ევანსისა და ვოქერის „კარდიფი", რომელიც თასის შარშანდელი მფლობელი და წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერია, ნეიტრალურ მოედანზე, პლანეპლიში, დამატებით დროში დამარცხდა შარშანდელ ჩემპიონ „სვონზისთან" და წლევანდელ ფინალში ველარ გავიდა.

**საფრანგეთშიც** გამოვლინდნენ ფინალისტები, ოღონდ ჩემპიონატისა. გარდამავალი ხის პანოსათვის პარიზში ითამაშებენ „ტულუზი" და „კასტრი".

**ინგლისის** ჩემპიონი ვერ გამოავლინა ბოლოსწინა, მე-17 ტურმაც. ბოლო თამაშების წინ „ლესთერი" კვლავაც 2 ქულით უსწრებს წინა ოთხი წლის გამარჯვებულ „ბასს". შაბათს ორივე ლიდერმა სტუმრად მოიგო: „ლესთერმა" სეილში 20:10 აჯობა იქაურ გუნდს, ბასის კლუბმა კი — 25:19 ლონდონში, „ჰარლიქვინზს".

**ახალი ზელანდიის** „ოლ ბლექსი" ამ კვირაში მსოფლიო თასისწინა ბოლო გასინჯვას მართავს, მაგრამ ამთავითვე ცნობილი, რომ გუნდი მოისაკლისებს 30 წლის ფრთის მორკინალ მაიქლ ჯოუნზს, რომელიც ასაკისა და ურიცხვი ტრავმის მიუხედავად მაინც უბადლო მარბიელად მიაჩნიათ. მიზეზი ისევ მორაგბის რელიგიური მრწამსია: ჯოუნზი სამოაზეა გაზრდილი, ერთობ მართლმორწმუნე ქრისტიანია და კვირა დღეს თამაში დიდ ცოდვად მიაჩნია, რის გამოც 1991 წლის მსოფლიო თასზე ნახევარფინალში ავსტრალიის წინააღმდეგ არ უთამაშია. რაღაც ეშმაკად წლევანდელი მსოფლიო თასის განრიგიც ისეა შედგენილი, რომ ზელანდიას მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის გამართვა მომდევნო კვირეებზე მოუწევს, რაც მათში ჯოუნზის მონაწილეობას გამორიცხავს, ვინაიდან ამას განუცხადებია, რომ სარწმუნოდ მისთვის რაგბზე უნიჭრისია და არაფერი დათმობს, განცდ მსოფლიო თასის გიყვდეს. „ოლ ბლექსის" მწვრთნელი ლორი მეინსს მაინც აზვავე დაუჯერებია.

**ლიგის რაგბში** არა და არ ცხრება ავსტრალიელი მედიის მაგნატის, რუპერტ მერდოქის მიერ ალტერნატიული „მსოფლიო ლიგის" შექმნის გამო ამტყდარი სკანდალი. სამშაბათს, 18 აპრილს, სიდნეიში ხელი მოეწერა კონტრაქტს, რომლის თანახმადაც ბრიტანეთის რაგბის ლიგა 1996-2000 წლებისთვის ვალდებულობს, თავისი 13 რჩეული კლუბი მარტიდან ოქტომბრამდე ათამაშოს ე.წ. ევროპულ სუპერლიგაში. ამის სანაცვლოდ მერდოქი ბრიტანელებს 150 მილიონ დოლარს ჰპირდება.

ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ბრიტანელ პროფესიონალთა თავკაცმა მორის ლინდზიმ მედიას დაუდასტურა, რომ თუმცაკი საოქტომბროდ დაგეგმილი ლიგის რაგბის საიუბილეო, ათგუნდა მსოფლიო თასი ბრიტანეთში შეუფერხებლივ ჩატარდება, მაგრამ გაისიდან შეწყდება ავსტრალია — ბრიტანეთის ტურნეობანა ნაკრებთა დონეზე, რასაც 87-წლიანი, იმდენად სახელოვანი ტრადიცია ჰქონია, რომ ყოველი პროფესიონალის ოცნება ყოფილა მათში მონაწილეობა.

ლინდზის განმარტებით, ამ ტურნეთა გამართვა ველარ მოხერხდება იმიტომ, რომ ივნის-ივლისში ბრიტანელები ევროპულ ლიგაში ითამაშებენ და ავსტრალიას ველარ ეწვევიან. „მეტიცო", — უთქვამს ლინდზის, „თუ მსოფლიო ლიგის შექმნის შემდეგ მაინც აუცილებელია ნაკრებთა შეჯიბრება, მათ მხოლოდ იმ მოთამაშეებისგან შევადგენთ, ვინც მერდოქს მოემხრობაო."

ამ ცნობას დაუმწუხრებია ლიგის რაგბის საერთაშორისო საბჭოს მეთაური, ავსტრალიელი ქენ აფერთონი, რომლის გაერთიანებასაც მერდოქის წამოწყების წარმატების შემთხვევაში მეორეხარისხოვან ორგანიზაციად გარდაქმნა ემუქრება. გადამდგარა ქვინზლენდის მწვრთნელიც, აქაოდა ახალ სამხრეთ უელსთან გასაჯიბრებლად შტატის ნაკრებში მერდოქთან გადასულებს ველარ მოვიწვევ და, აბა, ვინღა ვათამაშოო. აქამდე აფერთონის ერთგული ორი ცნობილი ავსტრალიელი მსაჯიც ახალ ლიგას მიმხრობია. სამაგიეროდ, ინგლისის კლუბ „ქასლფორდის" მეპატრონეს პარლამენტის „მონოპოლიზაციისა და შერწყმის კომისიისთვის" მიუმართავს, რაიმე იღონეთო: ერთი, რომ ჩემი კლუბის სხვასთან შეერთება არა მსურს, და მეორეც, ვეჭვობ, მერდოქის ინიციატივამ ბრიტანულ ლიგის რაგბს ხეირი დააყაროსო.

# ფორმენს ძალისძალად გაამარჯვებინეს



განძარცული აქსელ შულცი

რამდენჯერ მომხდარა, მსაჯებს გამარჯვება რომ მიუკუთვნებიათ იმისთვის, ვისაც, საყოველთაო აზრით, იგი არ ეკუთვნოდა. გვეგონა, ამგვარ ცოდვას მხოლოდ სამოყვარულო კრივში ჩადიოდნენ, ისიც მავანი შავ-ბნელი ძალების მითითებით. ახლა გაირკვა, რომ პროფესიულ რინგზეც არცთუ იშვიათად იგივე ხდება.

შაბათს, ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ გრენდ ჰოტელში" კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (აი-ბი-ეფ) მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონი, 46 წლის მოხალისე მღვდელი ჯორჯ ფორმენი ტიტულის მოცილეს, თეთრკანიან გერმანელს, 26 წლის აქსელ შულცს შეარკინა. დამსწრეთა უმრავლესობას მოეჩვენა, რომ შულცმა აჯობა ბებერ ჯორჯს, მაგრამ სამმა ამერიკელმა მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა: ორმა ორ-ორი რაუნდით გაამარჯვებინა ფორმენს, მესამემ კი ფრე დათვალა.

არადა, შულცი უფრო ცოცხლადაც მოძრაობდა და მისი მუშტიც უფრო ხშირად ხვდებოდა ვეტერან ჩემპიონს. შერკინება რომ დამთავრდა, ფორმენს მარცხენა თვალი, ასე, პინგ-პონგის ბურთის ზომაზე ჩალურჯებული დარჩა, თუმცა თავად გულნაკლული არ დარჩებოდა, ვინაიდან გაამარჯვებინეს და ჯიბის ფულადაც 10 მილიონ დოლარს მიითვლიდა.

ფორმენი ბრძოლის წინ 256 გირვანქას (116,2 კილოს) იწონიდა, შულცი — 221 გირვანქას (100,3 კილოს). ჯორჯს ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ კილონახევარი მოემატებინა, შულცის შესახებ კი საზოგადოებრიობამ ის იცოდა, რომ წინათ ორჯერ შებმია ბრიტანელ ჰენრი აკინვანდეს: ერთხელ წაუგია, მეორედ ბრძოლა ფრედ დამთავრებულა. აქსელი რინგზე აქამდე ვერავის გაუთხლაშავს, თუმც ერთობ ზანტი მოკრივის რეპუტაცია ჰქონია.

მიმომხილველები ნოკაუტით ფორმენის გამარჯვებას გეგმავდნენ სადღაც VIII რაუნდისთვის, ბუკმეიკერებს კი ბაბუა ჯორჯი 6:1 ფავორიტად მიაჩნდათ. მართლაც, ბაბუამ ერთი-ორი მაგრადაც მოსდო გერმანელს და დამსწრეთა აზრით II, V და XI რაუნდები მოიგო, მაგრამ თუ სამართალი იყო, შულცს უნდა გაემარჯვა ერთბაშად სამი რაუნდით. ერთი სიტყვით, თუ მედიის პატივსაცემ წარმომადგენლებს ვენდობით, აქსელისთვის დღისით, მზისით წაურთმევიათ მოგება, გამარჯვებულის არჩევა კი განუპირობებია იმას, რომ ჩემპიონად კოლორიტული ფორმენის დარჩენით უფრო მეტი ფულის მოზიდვა მოხერხდება, ვიდრე ვიღაც გერმანელის დაწინაურებით.

მოგებანაძლევევი ფორმენი მატჩის შემდეგ მეტად გაკადნიერდა და იმ ერთადერთ მსაჯსაც საჯაროდ უსაყვედურა, ფრე რა სინდისით დათვალე, ნუთუ ჩემი უპირატესობა სადაო იყოო. მერე ჯორჯმა გამარჯვება შეიფერა, მეტოქეც შეაქო, მაგრამ ისიც შეუთვალა, თუ ჩემპიონობა გსურდა, მამის ტოლა კაცი რატომ ვერ დამანოკაუტეო. სხვაფრივ, ჩემპიონობის ღირსი არცა ყოფილხარო. ბოლოს ფორმენმა ისიც დაამატა, ხალხი „იუ-ეს-ეი, იუ-ეს-ეი" გაიძახოდა და მერჩია მიწა გამსკდომოდა და დავემარხე, ვიდრე ამდენი ქომაგი გამეწბილებინაო. ჩემს გამარჯვებასაც ამერიკელ ერს ვუძღვნიო.

შულცს ლას-ვეგასში 2 000 გულშემატკივარი და 100 ჟურნალისტი ხლებია. ისინი ამაყობენ აქსელით, აქაო და მაქს შმელინგს გაუტოლდა, 1930-იან წლებში მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონი რომ იყოო. გერმანელის ბანაკმაც ფორმენს უმალ მატჩ-რევანში შესთავაზა — 22 ივლისს, გერმანიაში, რაზეც ჯორჯმა განაცხადა, ახლა მაიქ თაისონის გარდა ალარავისთან მაინტერესებს შებმაო.



**ჭაბუკები კაცებს არ ჩამორჩნენ**

რუმინეთიდან გამარჯვებული დაბრუნდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები, რომელმაც გაიმარჯვა ე.წ. „მსოფლიო ჩემპიონატის" [illegible] ჯგუფში და [illegible] მეორე [illegible] თამაშის უფლება მოიპოვა. თუ რა ბრძოლა გადახდათ ჩვენებს ჯერ სათამაშოდ, მერე კი გასამარჯვებლად, დაწვრილებით პარასკევის „სარბიელში" შეიტყობთ.

**ნინა კვირა (17-23.IV)**

**ჩოგბურთის მოედნებზე**

ჰონკონგში, მეოთხედფინალში ჩანგმა (აშშ, 1) დაამარცხა კარლსონი (დანია), ფერერამ (სამხრ. აფრიკა, 2) წააგო აპელთან (შვედეთი), კურიემ (აშშ, 3) დაამარცხა ვოლკოვი (რუსეთი, 6), ენკვისტმა (შვედეთი, 4) წააგო ბიორკმანთან (შვედეთი, 5). ნახევარფინალი: ჩანგი — კურიე 6:4, 6:2; ბიორკმანი — აპელი 6:1, 6:4. ფინალი: ჩანგი — ბიორკმანი 6:3, 6:1. მაიკ ჩანგმა ტიტული შეინარჩუნა. თავიდან პირველ ნომრად აგასი განეთესათ, მაგრამ დევისის თასზე იტალიასთან თამაშისას ანდრეს ზურგი ეტკინა, ჰონკონგის წინ ტოკიოში ასპარეზობისას კი ტრავმა გაურთულდა და ჩოგბურთელმაც ორი კვირით შეისვენა

ნიცაში, მეოთხედფინალში როსემ (შვეიცარია, 5) დაამარცხა ვუდფორდი (ავსტრალია), ალბ. კოსტამ (ესპანეთი) — კარბონელი (ესპანეთი), მედვედევმა (უკრაინა, 2) — ფრომბერგი (ავსტრალია), კაფელნიკოვმა (რუსეთი, 1) — პიოლინი (საფრანგეთი). ნახევარფინალი: კაფელნიკოვი — მედვედევი 4:6, 6:4, 6:3; როსე — კოსტა 2:6, 6:4, 6:4. ფინალი: როსე — კაფელნიკოვი 6:4, 6:0. შვეიცარიელ ოლიმპიურ ჩემპიონს ტერფი ჰქონდა დაშავებული და ასპარეზს ახლალა დაუბრუნდა. კაფელნიკოვი კვირის დასაწყისში კლასიფიკაციაში მე-4 იყო, მედვედევი, ვინაც მელბურნში მაჯა მოიტეხა — მე-16. სამპრასს უთქვამს, კაფელნიკოვი მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდებაო

ქალთა გუნდური შეჯიბრი — ფედერაციის თასი პირველად თამაშდება დევისის თასის ფორმულით. მსოფლიო ჯგუფში წინა უქმეებზე გაიმართა მეოთხედფინალები: ბულგარეთი — ესპანეთი (შარშანდელი ჩემპიონი) 2-3 (სოფიაში), გერმანია — იაპონია 3-0 (ფრაიბურგში), საფრანგეთი — სამხრეთი აფრიკა 3-2 (მეცში), აშშ — ავსტრია 5-0 (ავენტურში, თენბრი-აილენდი, ფლორიდა). ნახევარფინალში ითამაშებენ: ესპანეთი — გერმანია, აშშ — საფრანგეთი

ახლად დაწესებული „სარბიელის სინისათვის": ზეგ, 28 აპრილს, დღის 5 საათზე, ვაკეში ითამაშებენ

„თბილისი" და „გუმარი".

იჩქარეთ დიდი რაგბის დასაჭაშნიკებლად!

# აიკიდო



ვისაც გსურთ დაეუფლოთ აიკიდოს საიდუმლოებას და შიშველი ხელით თავდაცვას, მიაკითხეთ აიკიდოს შემსწავლელ ჯგუფს ვაკეში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის დარბაზში, ყოველდღე, 16 საათიდან.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29